იონა მეუნარგია

ილია ჭავჭავაძე

(მოგონებანი)

სამეგრელოს მუზეუმი
თბილისი 1937

იონა მეუნარგია

ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ

სოლ. ცაიშვილის
რედაქცით და შენიშვნებით.

სამეგრელოს მუზეუმი
თბილისი 1937

„ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე – ქართველი მწერალი
და საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციო-
ნალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარუ-
ლი საზოგადო მოღვაწეა“.

(გაზ. „პრავდა“ 1936 წ. № 244)

წინასიტყვაობის მაგიერ

წინამდებარე წიგნი – „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ" ხელნაწერის სასით ინახებოდა მწერალ იონა მეუნარგიას არქივში, რომლის უმეტესი ნაწილი დაცულია სამეგრელოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მუზეუმს განზრახული აქვს იონა მეუნარგიას ყველა საარქივო მასალის შეკრება და აგრეთვე მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის კაბინეტის მოწყობა.

მუზეუმი თავიდანვე ისახავდა მიზნად გადაერჩინა დაღუპვისაგან სამეგრელოს ყოფილი მთავრის სასახლეში და სოფლად ოჯახებში გაფანტული ჩვენი კუთხის ძველი ყოფა-ცხოვრების კულტურისა და ხელოვნების დამახასიათებელი ნაშთები, კლასობრივი ურთიერთობის მაჩვენებელი ექსპონატები და სხვ.

ამ ხრით ბევრი საყურადღებო მუშაობა უკვე ჩატარებულია.

გარდა სხვადასხვაგვარი ნივთის და საყოფაცხოვრებო ექსპონატებისა, მოპოვებულია დიდძალი კოლექცია როგორვ ისტორიული, ისე წინაისტორიული ეპოქების ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი სხვადასხვაგვარი ნივთები, არქეოლოგიური ნაშთე-

ბი, ისტორიულ პირთა და გამოჩენილ ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები, ხელნაწერები და სხვა საარქივო მასალები.

დღემდე არ ხდებოდა ამ მასალების დამუშავება და ფართო მასებში პოპულარიზაცია. დღეს კი, როდესაც მსოფლიო მუშათა კლასის საყვარელი ბელადის დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ხელმძღვანელობით პარ-

ტიისა და ხელისუფლების მიერ ფართოდ იქნა გაშლილი ფრონტი – ისტირიის, კლასიკოს მწერალთა მემკვიდრეობის და საერთოდ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შესწავლისათვის ბრძოლაში, საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომმა სადირექტივო ორგანოების მითითებათა საფუძველზე, მუზეუმის წინაშე დასახა მთელი რიგი ამოცანებისა, პირველ რიგში დამუშავება და გამოცემა მუზეუმში დაცული საარქივო მასალებისა.

ამ მასალებს შორის თვალსაჩინო მნიშვნელობისა და ისტორიული ღირებულებისაა: წერილობითი დოკუმენტები, მოგონებანი და ფოლკლორული მასალა კერძოდ, უ ტ უ მ ი ქ ა ვ ა ს მეთაურობით სამეგრელოს გლეხთა აჯანყების შესახებ 1857 წ, და ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს ეს აღნიშნული არქივი, რომელიც შეიცავს უმთავრესად ქართველ მწერალ-მოღვაწეთა ბიოგრაფიულ მასალებსა და მიწერ-მოწერას მათთან.

ამ არქივებში ბევრი ისეთი მასალები მოიპოვება, რომელიც დღემდე არ გამოქვეყნებულა და მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობია.

ამ მიმართულებით მუზეუმმა უკვე გადადგა ნაბიჯები. პირველ ნაბიჯია ი. მეუნარგიას ხელნაწერებიდან გამოცემული „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ და ეს წიგნი – „ნანასხი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ“, ორივე ს ო ლ ო მ ო ნ ც ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით და შენიშვნებით.

დასახულია აგრეთვე შემდგომი მუშაობის გეგმა – მუზეუმში დაგროვილ დოკუმენტურ, ფოლკლორული მასალებისა და პირველ რიგში იონა მეუნარგიას არქივში დაცულ ხელნაწერების სრულად გამო-
არქივში დაცულ ხელნაწერების სრულად გამო-
ცემის შესახებ.

შ. შენგელი.

რამდენიმე შენიშვნა

ვისაც ი. მეუნარგიას შრომები (ვგულისხმობ მწერალთა ბიოგრაფიები) წაუკითხავს, გაეცნობოდა, თუ რა დაწვრილებით გადაალაგებდა ხოლმე ის ქაღალდზე იმ ფაქტებს რომლებიც მას

ამათუიმ მწერლის შესახემ ჰქონდა დაგროვილი თავისი უბის წიგ-
ნაკში, როგორც თვითონ უწოდებს „სამახსოვრო წიგნში“.

საფრანგეთის მე-19 საუკუნის კულტურაზე აღზრდილმა, საფრანგეთის უდიდესი მწერლის ვ. ჰ ი უ გ ო ს მეგობარმა ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა მ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე, გარდა „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისა, ეს სრულიად უცხო და ჩვენი სალიტერატურო ცხოვრებისათვის მეტად უჩვეულო დარგი – მწერალთა ბიოგრაფიების კვლევა აირჩია. ქართულ მწერლობაში ასეთი ტრადიციაც კი შემუშავდა: თუ რომელიმე მწერლის სრულ თხზულებათა გამოცემა განიზრახებოდა, ბიოგრაფიის შედგენისათვის უსათუოდ იონას მიმართავდნენ, რის დასადასტურებლად არა ერთი და ორი პირადი ბარათი მოიპოვება მის არქივში – ამადაამ მწერლის თხზულებას ვსცემთ, ბიოგრაფიის შედგენა თქვენ დაგევალათ და სხვა (მაგალ., ნ. ბარათაშვილზე, ი. მაჩაბელზე, გ. ჭალადიდელზე, ვ ორბელიანზე და სხვ.).

ეს ხელნაწერი „ ნ ა ნ ა ხ ი დ ა გ ა ნ ა გ ო ნ ი ი ლ ი ა ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა მ“ ილიას სრულ ბიოგრაფიას არ წარმოადგენს; ეს უფრო მასალაა ბიოგრაფიისათვის – მეტად ძვირფასი, უტყუარი და საინტერესო მასალა, რადგან მეუნარგია მისებური სიდინჯით „ნაქუჩებ“ ფაქტებს თავისი „სამახსოვრო წიგნიდამ“ გვაცნობს. თვითონაც ხომ ამბობს „... მე აქ ილიას ცხოვრებას არა ვწერ, ილიას ცხოვრების მასალას ვაქუჩებ, რომელიც ან თითონ ილიასაგან გამიგონია, ან მის თანამედროვეთაგან მსმენია, ან თითონ ჩემის თვალით მინახავს და ამიტომ ჩემს ნანახს და განაგონს ილიას ცხოვრებიდამ მე აქ მხოლოდ დაახლოებით ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ ვწერ. მე ხომ

მეწვრილმანე ეარ ქართულის მწერლობისა და თუ ჩემგან შეკრებილის წვრილმანებით მე თქვვნ ილიას სურათი, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც. ნათლად დაგანახეთ, ჩემს ვალს ქართულს მწერლობაში მოხდილად მივიჩნევ“-ო.

ასეთი წვრილმანები საკმაოდ მსხვილ ღირებულებათა შემცველია მწერალთა ცხოვრების შესასწავლად. აქ ჩეენ ვნახავთ ილიას სტუდენტს, საზოადო მოღუაწეს, სახელმწიფო მიხელეს, ბანკის თავმჯდომარეს, მემამულეს, რედაქტორს; ილიას ოჯახში, შინაურობაში; ილიას ხასიათს და სხვა, რაც არ შეიძლება კარგად არ ცოდნოდა ი. მეუნარგიას, როგორც ილიას გაზეთის „ივერიის“ უახლოეს თანამშრომელს (რაც ჩანს ილიას იმ კერძო წერილიდან, რომელიც მას ი. მეუნარგიასათვის მიუწერია 1885 წლის 20 დეკემბერს. წერილი იხ. მე-33 გვ.) და ქართველთა შორის წ.-კ. გამ. საზბის მდივანს.

სამწუხაროდ, მასალა ილია – პოეტზე, მწერალზე, ამ მოგონებებში ძუნწადაა წარმოდგენილი, ხოლო ილიას მსოფლმხედველობაზე სრულებით არაფერია ნათქვამი.

ი. მეუნარგიას არ უყვარდა ყურმოკრულის, საეჭვო ნათქვამის და განაგონის ერთთავად დაჯერება და ჩაწერა, გავრცელებულ შეხედულებათა შეუმოწმებლად მიღება. მწერალს პირადად ეცნობოდა, უახლოვდებოდა, მის ცხოვრებას კვალდაკვალ სდევდა. ამისთვის ყოველ წუთში მზად ჰქონდა უბის წიგნაკი და ფანქარი. მწერლის ყოველ შეხვედრას იყენებდა, არც ერთ წუთს არ ჰკარგავდა უშედეგოდ, თუ რას იტყოდა ესათუის მწერალი ამათუიმ საკითხზე, პიროვნებაზე, ნაწარმოებზე, თავის-თავზე თე სხვა რამეზე და როგორ იტყოდა, რამდენად მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივი ხასიათის მატარებელი იქნებოდა ეს თქმა, რა ფორმებში გამოხატავდა მას მთქმელი და სხვ. ყველაფერი ეს იმ ნახსენებ „სამახსოვრო წიგნში" შედიოდა, იქ იწერებოდა, ყალიბდებოდა, ზოგს ნაკვესის, ზოგსაც მომხდარი ფაქტის სახე ეძლეოდა, და ამგვარად მდიდრდებოდა და ივსებოდა ეს წიგნაკი.

„ნანახი და განაგონი“ არსებითად მოგონებაა ილიაზე, რო-

გორც ამას თვითონ მეუნარგია უწოდებს და არა ბიოგრაფია. ილიას ბიოგრაფიის შედგენა მას განზრახული ჰქონდა „შემდეგში, როცა მე მივყავი ხელი ორბელიანის, ბარათაშვილის, გ. ერისთავის და სხვათა

ცხოვრების აღწერას. მე ყოველ შეყრაზე ილიას ვუყურებდი, როგორც მსხვერპლს, „მუშტრის თვალით“, და როცა იმისაგან მოვდიოდი შინ, მის ნალაპარაკევს ვწერდი ჩემს „სამახსოვრო წიგნებში“, – წერს თვით ი. მეუნარგია ამავე შრომაში. ცხადია, აქ გამომღავნებულია, რომ მას განზრახული ჰქონდა ილიას ვრცელი ბიოგრაფიის შედგენა. საამისოდ დაგროვილი ჰქონდა: მასალა, პირველი წყაროები, რომლებიც მის სამახსოვრო წიგნებს ამშვენებდნენ და რომლებიდანაც მან სახელდახელოდ ამოწერა ჩვენ წინ მდებარე ფურცლები, მოგონებათა სახით ქუთაისში გამართულ ილიას საღამოზე წასაკითხავად. დანარჩენი, რაც ბიოგრაფიისათვის სისრულის მიმცემად, მისთვის აუცილებლად და დამამშვენებლად მიაჩნდა, როგორც თვითონ აცხადებს, დასტოვა იმ სამახსოვრო წიგნაკებში, რომელთა კვალი გარდა თითო-ოროლა გვერდის ნაფლეთისა, მის არქივში (რომელიც სამეგრელოს მუზეუმშია დაცული) არა ჩანს.

ხელნაწერი, როგორც თვით ავტორის ხელით სქოლიოდ მინაწერი გვაცნობებს, წაკითხულია მოხსენებად ფოთსა და ქუთაისში 1908 წელს ილიას საღამოზე.

ცხადია, ეს ის ხელნაწერი ან ლექციაა, რომელსაც შემდეგ ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი გამოეხმაურა პრესაში და თავისი რჩეული ნაწერების პირველ ტომშიც კი შეიტანა: „ილიას მეორედ მოკვლის განზრახვ“-სა და „მეუნარგიას ჭორები ილიას შესახებ“-ის სათაურებით. თუ რამდენად არის ჭორები ამ მოგონებაში მოყვანილი ფაქტები, ამას მიუდგომელი და დაკვირვებული მკითხველი იტყვის, როცა ი. მეუნარგიას ქვემომოყვანილ მოგონებებს გაეცნობა.

როგორც ვთქვით, ეს მოგონებანი მეუნარგიას 1908 წ. 27 ოქტომბერს ქ. ქუთაისში გამართულ ილიას საღამოზე წაუკითხავს. აღნიშნული საღამო კორესპონდენტს გაზეთ „ალში“ გაუშუქებია. ამ კორესპონდენციის საფუძველზე ჩვენს დიდს პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ს მეტად მკაცრი ხასიათის სტატიები დაუწერია,* საცა იგი დიდ გულისწყრომას გამოთქვამს მისი ძველი მეგობრის იონა მეუნარგიასადმი (ხელთა გვაქვს ი. მეუნარგიას და ი. გოგებაშვილის მიწერ-მოწერიდან რამდენიმე ბარათი, საიდანაც მათი მეგობრული ურთიერთობა ირკვევა).

---

* იხ. ამ წიგნის დამატება გვ. მე-55-58.

ი. გოგებაშვილს რომ შემთხვევა ქონოდა მეუნარგიას ამ რეფერატის მოსმენისა ან წაკითხვის, მის ასეთ აღშფოთებას ადგილი არ ექნებოდა. რაც გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ს მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს ჭ ო რ ე ბ ა დ მ ი ა ჩ ნ ი ა, ა რ ს ე ბ ი თ ა დ კ ო რ ე ს პ ო ნ დ ე ნ ტ ი ს ჭ ო რ ე ბ ი ა, რასაც ილია ჭავჭავაძის პიროვნებისადმი თაყვანისცემით გატაცებული ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი შეცდომაში შეიყვანა. ამას ადასტურებს თვით გოგებაშვილის შემდეგი სიტყვები: „რუსეთსა და ევროპაში ჩვეულებად აქვთ – გამოჩენილი მწერლების შესახებ არ გამოაქვეყნონ მათი კერძო ცხოვრების ნაკლულევანებანი“-ო და მოყავს მთელი რიგი უარყოფითი ფაქტებისა, ისეთი დიდი ადამიანების კერძო ცხოვრებიდან, როგორიც არიან: კ რ ი ლ ო ვ ი, პ უ შ კ ი ნ ი, ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი, ბ ა ი რ ო ნ ი და სხვ.

გოგებაშვილის ეს სიტყვები მისივე დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებას ადასტურებს; აბა საიდან გაიგებდა ი. გოგებაშვილი აქ მოხსენებულ დიდ ადამიანთა იმ უარყოფით მხარეებს,

თუ კი ისინი გამოუქვეყნებელი იქმებოდა.

გოგებაშვილი ხომ თვითონ ამტკიცებს: ილია, როგორც ჭკუიანი და დინჯი ადამიანი ბანქოში ფულს არ აგებდა, არამედ იგებდაო. მაშასადამე, ილია ბანქოს თამაშობდა და იგებდა თუ არა, ეს არავისთვის იყო საინტერესო. მეუნარგიაც ხომ ამ ფაქტების აღმნუსხველია, როგორც თვითონ ამბობს „წვრილმანების“ შემკრებია, ილიას ცხოვრებიდამ ნანახისა და განაგონის, ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ მომქუჩებელი. ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ მ ა * და კოხტა აღფხაზმაც ** ხომ ეს ფაქტები აღნიშნეს თავიანთ მოგონებებში. ამით არავითარი ჩირქი არ ეცხება მგოსნის სახელს. არც არაფერია აქ უჩვეულო გარდა იმისა, რომ საფრანგეთის ლიტერატურაზე აღზრდილმა მეუნარგიამ საქართველოშიც გადმონერგა ერთი ფრიად სიმპატიური, ქართული ლიტერატურისათვის მართლაც უჩვეულო ტრადიცია – მწერალთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა – დევიზით: „საყვარელი კაცისა ყველაფერი უნდა ვიცოდეთ“ *** და რასაკვირველია, რომ საყვარელი ილიას ცხოვრებიდან, მისი ბიოგრაფიული, ზოგიერთი წვრილმანი, მაგრამ მაინც ადამიანის დამახასიათებელი შტრიხები აღნიშნა თავის მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ შ ი .

---

* იხ. მანსვეტაშვილი – მოგონებანი გვ. 86, 143.

** იხ. „ლიტ. მემკვიდრ“. გვ. 575.

*** იხ. ი. მეუნარგია – ცხოვრება და მოღვაწეობა გრ. ორბელიანისა, გვ. 145.

10

საბედნიეროდ, როგორც მოსლოდნელი იყო, ამ მოგონებებში ისეთი არაფერი აღმოჩნდა, ი. გოგებაშვილის აღშფოთებას რომ შეეფარდებოდეს. ილიასადმი მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ა მ გ ვ ა რ ი კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ა უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ო ი ყ ო დ ა გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა ზ ე ა გ ე ბ უ ლ ი .

ამ გაუგებრობის გასაფანტავად მოგონებათა კრებულს დამატების სახით ვურთავთ: მეუნარგიას მიერ წარმოთქმულ სიტყვას ილიას დასაფლავებაზე, გაზეთ „ალში“ მოთავსებულ კორესპონდენციას, რომლის ტ ო ნ ს უთუოდ მიხვდება დაკვირვებული მკითხველი, როცა წააწყდება გოგებაშვილის პირველ სტატიაში შემდეგ სიტყვებს: „ილია მიწასთან გაასწორაო“ გულისწყრომით სწერს კორესპოდენტი თ ვ ი თ (ხაზი ჩამია ს. ც.) გაზეთი „ალისა“ და ი. გოგებაშვილის ორივე სტატიას.

ამით მეტი ნათელი მოეფინება ამ ორი შესანიშნავი პიროვნების დიდ ილიასადმი მიმართულ სიყვარულის ნიდაგზე აღმოცენებულ კონფლიქტის უსაფუძვლობას.

ფრიად საყურადღებო და ანგარიშგასაწევია ამ მხრით ერთი ადგილი ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს იმ კერძო წერილიდან, რომელიც მას (ნიკოლაძეს) ფოთიდან ი. მეუნარგიასთვის მიუწერია (1908 წლის დეკემბრის თარიღით), სადაც, სხვათა შორის, ლაპარაკია წინამდებარე მოგონებათა კრებულზე და ი. გოგებაშვილის სტატიებზე: „... გულზე გავსკდი, გოგებაშვილის სტატია რომ წავიკითხე შენს (მეუ-

---

* აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამავე გაზ. „ალის“ მე-5 ნომერში დაბეჭდილია „ილიას საღამო ბაქოში", სადაც ვინმე დათიკო ჯაფარიძეს წაუკითხავს რეფერატი ილიას შესახებ. გაზეთი კი რეფერენტს შემდეგი სიტყვებით ამკობს: „მის გამოსვლას არ გამოსვლა სჯობდა“... „მან სთქვა: ილიამ ბევრი დასწერა გლეხების მდგომარეობაზე და მაგალითისათვის ძლივს მიგვითითა აქ დადგმულ დრამაზე – „ბატონი და ყმა“ დადგმულა იმ საღამოს – ს. ც.)... „ილია იმიტომ მიყვარს, რომ მამულიშვილიაო, უყვარს ჩვენი ერი და იფარავს მას გარეშე და შინაურ მტრებისაგან, განსაკუთრებით შინაურ დ უ ხ ჭ ი რ ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ ო “ (კურსივი ავტორისაა)... „ამ პოლიტიკურად დაუმწიფებელ ბალღებს გონიათ, ვინც მათგან გამართულ ილიას საღამოს დაესწრება, ის უსათუოდ

მათი პარტიის წევრი ხდება-ო...“ და სხვ. ყველა ეს ამჟღავ-
ნებს გაზეთის აბდაუბდურ პოზიციას ილიას საკითხში.

11

ნარგიას. – ს. ც.) წინააღმდეგ. Мертвые хоронят мертвых! დაბეჭდე შენი ლექცია, ან დაბეჭდე პასუხი, რომ კრიტიკის მეტი ბევრი სხვაც იყო კეთილი ილიკოზე-თქო. ნუ მიაყრუებ ამ საქმეს, ხომ იცი, კვდრე-ბის ქვეყანაში ვცხოვრობთ (ავტორის მართლწერა მთლიანად და-ცულია – ს. ც.).

როგორ მიიღო ნიკოლაძის ეს რჩევა მეუნარგიამ, არ ვიცით, მაგ-რამ ფაქტი ასეთია: გოგებაშვილის წერილის საპასუხოდ მას არადაუბე-ჭდია-რა, ხოლო დაუწერია თუ არა, არც ის ვიცით. ასეთი რამ მის არქივში არა ჩანს, გარდა ერთი პატარა ჩანიშვნისა ერთერთ მის უბის წიგნაკში, სადაც ფანქრით ჩაწერილია შემდეგი სიტყვები:

„1. გოგებაშვილის ჭორები. გავჩუმდი. გოგებაშვილის აგენ-ტები შინ მყავს, ჩემი მიშა, ჩემი ლილი და ყველა მასწავლებელი, ყველანი მისნი პატრიოტნი... მე მტყუანი, ის მართალი. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. რა იყო? Бурсак ვოსტორგოვი სად იყო კავკა-სიაში. ნიკოლაძის წერილი, ნუ წაიყრუებო...

„2 . . . . . .“

მეტად საგულისხმოა და დამაფიქრებელი ეს ნაჭერ-ნაჭერ მო-ტანილი სიტყვები. მით უმეტეს ის უბის წიგნაკშია ჩაწერილი და დაუმთავრებელი. როგორც ენახეთ, ციფრი 2 ცარიელია. არც შემ-დეგ შევსებულა იგი. ცხადია, მეუნარგიას ემძიმა გოგებაშვილისადმი პასუხი. იმოტომ კი არა რომ არ შეეძლო. არა. მას მეტად ძნელი გადასალახავი მიზეზი გადაეღობა წინ.

ამ მიზეზს ის გადმოგვცემს შემდეგ სიტყვებში: „გოგებაშვილის აგენტები შინ მყავს, ჩემი მიშა, ჩემი ლილი და ყველა მასწავლებელ-ნი“. მ ი შ ა და ლ ი ლ ი მისი უსაყვარლესი შვილები იყვნენ და ვინ იცის, თუ რამდენი ასეთი საყვარელი შვილები იზრდებოდა მაშინ გოგებაშვილის „დედა-ენით“ და „ბუნების-კარით“, რამდენი მოსწავ-ლე და მასწავლებელი შესტრფოდა მის დიდ ღვაწლსა და მშობ-ლიურ ზრუნვას მომავალ თობაზე.

ი. მეუნარგიას, როგორც ადამიანსა და მოღვაწეს, ვინც ახლოს გასცნობია, ის ღრმად დარწმუნდება თუ რაა მიზეზი იმ თავშე-კავებისა, რომელიც უთუოდ იყო მწვავე და ტრაგიკული. ეს სიმწ-ვავე მან ახალი თაობისადმი რწმენისა და გოგებაშვილის სახელი-სათვის თავის გულში დაიცხრო და დაფერფლა.

---

* ორივე დაიღუპა 1922 წ.

12

მისი მეუღლე ნ ი ნ ო მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს გადმოცემით – ში-ნაურულად ეს მოგონება იონას თბილისელ ნაცნობ-მეგობრებისათვი-საც წაუკითხავს (გოგებაშვილი ამ წაკითხვასაც არ დასწრებია), სა-დაც ასეთი აზრიც კი შეაგებეს თურმე: ცოცხალი ილია წინ დაგვიყენეო.

ამ მოგონების – ნიკოლაძის თქმით „ლექციის“ – გამოქვეყნები-სათვის ავტორს დიდად არ უზრუნვია. ეს ნათლად ჩანს თვით ამავე შრომის ხელნაწერიდან და ი. მეუნარგიას არქივში აღმოჩენილ კერძო წე-რილიდან, რომელსაც აქვე ვათავსებთ დამატების სახით (ნახ. გვ. 62).

მოგონებაში აღნუსხული ფაქტები ილიას შესახებ კომენტა-რიებს თითქმის არ საჭიროებს. არც იქ მოხსენებულ პირთა ვინაო-ბის ახსნა-განმარტებას ვურთავთ ცალკე, რადგან მკითხველისათვის ისინი თითქმის საკმაოდ ცნობილი პირები არიან, ხოლო თუ არის ვინმე ისეთი, რომელიც ფართო მასაში ნაკლებადაა ცნობილი ან ფსევდონიმს არის ამოფარებული, იქვე სქოლიოში მოკლედ განმარ-ტებული გვაქს.

დასასრულ, საჭიროდ ვცანით აგრეთვე დამატების განყოფილებაში შეგვეტანა ი. მეუნარგიას უბის წიგნაკებში ნაპოვნი ზოგიერთი ჩანაწერი ილიას შესახებ და მის არქივში აღმოჩენილი ილიას მეორე წერილი მეუნარგიასადმი, როგორც რამდენიმე ახალი შტრიხის შემტანი ილიას ბიოგრაფიულ მასალებში.

შრომაში მთლიანად დაცულია ავტორის სტილი და ორთოგრაფია; თითო-ოროლა ტექნიკური უსწორობის გარდა, ჩვენს მიერ არაფერი არ არის შესწორებული.

სოლ. ცაიშვილი.

<u>**იონა მეუნარგია**</u>

ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ *

როგორც აკაკის, „კაცია-ადამიანის“ დამწერსაც მწერლობაშიც მარტო ილია რომ დაეძახოს მგონია არა წახდეს რა. თუ რუსულად ილია გრიგოლის-ძე ითქმის, ჩვენთვის მარტო ილია როგორღაც უფრო მოხერხებულია, უფრო ქართული.

ილია იყო ღარიბი ოჯახის შვილი. იმ დროებაში როცა ის დაიბადა (1837 წ.) ჭავჭავაძიანთ გვარში დოვლათიანი სახლი მარტო ერთი სახლი იყო, ალექსანდრე

გარსევანის შვილის, საქართველოს მგოსნის, რომლის ოჯა-ხისაგან გამოვიდნენ სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე, ნინო გრიბოედოვისა, თამარ ბატონიშვილისა – ერეკლეს მეუღლე, ბარონესა ნიკოლაი და სხვ. ამ დროებში „კნია-ზიანთ“ ოჯახს კახეთში მარტო ალექსანდრეს ოჯახს ეძახ-დნენ. სხვების სიმდიდრე მარტო პური და ღვინო იყო. ილიას მამა გრიგოლიც, შექსპირის თქმისა არ იყოს, მარტო სისხლით იყო მდიდარი და არა ქონებით. მეტ-სახელად გროგოლს პაჭუას თურმე ეძახდნენ. გრიგოლი ერთ დროს ოფიცრად მსახურობდა ნიჟეგოროდის დრა-გუნის პოლკში და რამდენადმე განათლებული კაცი იყო. დედამისი, სახელად მაგდანი, იყო სომხის ქალი, ბებური-შვილის ასული.

---

* წაკითხულია ილიას საღამოზე ქუთაისში, 27 ოქტომბერს.

როგორც დავით ერისთავს, ილიასაც არაერთხელ სმენია მისი ხასიათის თვისების ახსნა სომხის ქალის შვი-ლობით.

ერთხელ, როდესაც ილია დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ იყო და ერთს სადილზე რაღაც შემთხვე-ვის გამო სიტყვა წარმოსთქვა, ეს სიტყვა სხვაზე უფრო ერთს სომეხს მოეწონა.

– უჰ, შენი ჭირიმე, კნიაზო, კარგი იმიტომა ხარ, რომ დედა სომეხი გყავსო, უთხრა იმას სომეხმა.

– საკვირველია, თქვენმა მზემ, თქვენ დედაც სო-მეხი გყავს და მამაც და ასეთი თავხედი გამოსულხარ, მიუგო გულნაკბენმა პოეტმა.

ილიას პატარაობაზე თითონ მისგან არა ერთხელ გამიგონია, რომ იმან წერა-კითხვა სოფლის მთავრისაგან ისწავლა, რომ დედამისი სხვადასხვა მოთხრობებს და „ვეფხის-ტყაოსანს“ უკითხავდა იმას და სხ. მაგრამ ამა-ებზე მე აქ არ ვილაპარაკებ გრძლად, რადგანაც ამაზე თითონ მან დასწერა თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში.

მეთერთმეტე წელი რომ დაუდგა ილიას, ის ქალაქს ჩამოიყვანეს და ვიღაც რაევსკის პანსიონში მისცეს. აქე-დამ იმან იწყო სიარული გიმნაზიაში და რა დაამთავრა მერვე კლასი, გაემგზავრა პეტერბურგს – 1857 წელს, საცა შევიდა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტში.

სანამ ქალაქს ჩამომიყვანდნენ, – გვითხრა ერთხელ პოეტმა (გოგებაშვილთან, სადილზე), მე ხშირად მაციებ-და და ტყლიპი გამიდიდდა (აბსტრუქცია მქონდაო, თქვა). ქალაქს რომ ჩამომიყვანა მამაჩემმა, ყველა ექიმები დამა-სიეს, მაგრამ ვერას გახდნენ რა. მაშინ ვიღაც ერთი ფერ-შალი მომიყვანეს ავლაბრიდიმ. კაბა ეცვა, თავზე კარ-ტუზი ეხურა, ჩოფურა იყო. რომ ხატვა ვიცოდე,

დავხატავ, ისე ცოცხლად მახსოვს იმის სურათი. იმან წამალი დამალევია, წამოსვა ტყლიპზე რაღაც და სთქვა: თავის დღეში ამას არ გააციებსო და მართლა მის აქეთ ჩემთვის არ გაუციებიაო, გაათავა პოეტმა.

ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა, გვითხრა სხვა დროს ილიამ, მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდამ ბრუნდებოდა თბილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელ-შეწყობილი, პირმღიმარე, დაფიქრებული; დაშორებით მოსდევდა მას ნელის ნაბიჯით ეკიპაჟი. ჩეენ რომ დავინახეთ პოეტი თავისის ელემენტით – კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოზღუდვილი, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ეხლა ამ დამშვიდებულ გულზე ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერს ბუნებასაო, და იმ დროიდამ დაწყებული სიკვდილამდის ილია იყო თაყვანისმცემელი გრ. ორბელიანისა.

*

* *

როგორც გიმნაზიაში, ისე უნივერსიტეტში ილიას ყოველისფრით განსხვავებული დრო შეხვდა. თბილისში ის რომ ჩამოვიდა პირველად, აქ ვარანცოვისაგან დანერგილს ხეს ნაყოფი გამოეღო, „ცისკარი“ გამოიცა.

ქართული თეატრი დაარსდა.

ჟურნალმა და დრამამ ცოტაოდნად ქართული საზოგადოება გამოაღვიძა.

თე ეს გამოღვიძება ყველგან თვალსაჩინო არ იყო, თუ დაბლა ხალხს სულ ისევ სძინავდა, მაღლა წრეებში განათლებულ საზოგადოებაში ქართველმა კაცმა თვალი გაახილა. ამ საზოგადოებას ილიაც ეკუთვნოდა, როგორც გიმნაზიის მოწაფე.

ნიადაგი და ატმოსფერა კარგი ჰქონდა მომავალს მგოსანს, რომ ამ პირობებში მას ჩანერგოდა გულში მამულის და ენის სიყვარული.

ილიას რუსეთშიაც განსხვავებულ დროს შეხვდა მისვლა, როგორც ჩვენს დროში, შემდეგ იაპონიასთან წაგებულის ომისა, სულ ყეელაფერი რყევაშია და მიისწრაფის ახალის საუკეთესო ცხოვრებისადმი, ისე იმ დროს, შემდეგ ევროპის კოალიციისაგან დამარცხებისა, რუსეთი ახალის წესწყობილებისადმი მიისწრაფოდა. თავიდათავი მოთხოვნილება მაშინდელის საზოგადოების საუკეთესო ნაწილისა იყო გლეხთა განთავისუფლება.

უნივერსიტეტი სათაურში უდგა იმ დროისთვის საჭირო რეფორმების შემოღების საქმეს და სწორედ მაშინ, როცა გლეხთა განთავისუფლების საქმე თავდებოდა, სტუდენტებმა არეულობა მოახდინეს.

ამ არეულობას მოყვა ილიას საქართველოში დაბრუნება.

რეფორმის წინადროებში აქ ილიას ან რა ადგილის შოვნა შეეძლო თავის ცოდნისა და ჰაზრების საქმეში გამოსაყენებლად. ჟურნალ-გაზეთობა ამ დროს ჯერ საქმე არ იყო.

„ცისკარი“ კი იბეჭდებოდა, მაგრამ ჟურნალს მკითხველი არ ყავდა. დაბეჭდილ ნომრებს რედაქტორი თითონ უგზავნიდა გავლენიან, მწერლობის მოყვარე ნაცნობებს – გრიგოლ ორბელიანს, გიორგი მუხრან ბატონს, * მიხეილ თუმანოვს, ** კოლხიდელს, *** პლატონ

---

* ცნობილი მემამულე. ეროვნულ საკითხის შესახებ წიგნის ავტორი. ამ პირზე ილიამ თქვა: „პირველ თქვენგანმა, იმა ბედშავმა მას (ერს – ს. ც) მკვდრის სუდარა გადააფარა (გრიგოლ ორბელიანთან პასუხი – ს. ც.).

** პოეტი, „ცისკრის“ თანამშრომელი „მოლაყბის“ ფსევდონიმით (1818-1875) ს. ც.

*** გრ. დადიანი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ძმა (ს. ც.).

იოსელიანს და მათი შემწეობით დიდი გაჭირვებით არსებობდა ის თითონ, მისი მესტამბეები და მისი ჟურნალი. თანამშრომლებისათვის ფული არ მოეძეოდა რედაქტორს და არც იყო მოსალოდნელი ახლო მომავალში, რადგანაც საზოგადო ცხოვრების პირობები ასეთი იყო მაშინ საქართველოში.

სამშობლოში ჩამოსულ ილიას გზაზე სვეტი დაუხვდა, რომელზედაც ეწერა: მარჯვნივ წახვალ ჩინოვნიკი იქნები და მაძღარი, მარცხნით წასვალ, მწერალი იქნები და მშიერი.

რომ მარჯვნივ წასვლა, ე. ი. შესაფერი ადგილის შოვნა არც ისე ადვილი იყო იმ დროს, ბუნებრივმა მიდრეკილებამ ილია წაიყვანა მარცხენა გზით. ილიამ ჯერ ცოტა ხანს „ცისკარში“ ბეჭდა მისი ნაწერები და შემდეგ 1863 წელს საკუთარი ჟურნალი გამოსცა „საქართველოს მოამბე".

ამ ჟურნალში დაბეჭდა პირვილაღ ილიამ „კაცია-ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ და ბევრი სხვა ჩინებული ლექსები.

აქვე დაიბეჭდა ნაწერები ვიქტორ ჰიუგოსი, პრუდონისა, ბასტიასი, ბელინსკისა და სხვ.

ახალმა ჟურნალმა ახალი სიტყვა გააგონა ქართველ საზოგადოებას. ეს სიტყვა მით უფრო დიდი მნიშვნელოვანი იყო და დროზე ნათქვამი, რომ საქართველოში

მზადდებოდა ამ დროს გლეხთა განთავისუფლება – ორის წლის წინათ რუსეთში მომხდარი.

ახალი სიტყვა ძველებს არ მოეწონათ.

და ასტყდა ძველსა და ახალს შორის კამათი, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ გამოიწვია ილიასი და გრიგოლ ორბელიანის ცნობილი პოლემიკა.

19

ძველ თაობას არ მოსწონდა არც ილიას ჟურნალი და არც ილიას სიტყვები. ამ დროს თავად-აზნაურთა ყრილობაზე, როგორც ქრისტეფორე მამაცოვი მოწმობს ერთს კრებაზე, საცა ილია ამტკიცებდა, რომ – გლეხი მიწიანად უნდა გავანთავისუფლოთო, ვიღაც თავადი იმას ხანჯლით თურმე მივარდა ისე, როგორც გაბრიელ ეპისკოპოსს დაუპირა მოკვლა ვიღაც კანდელაკმა ქუთაისში იმავე მიზეზის გმო.

*

* *

„საქართველოს მოამბე“ რომ გამოვიდა, ბატონიშვილს ერეკლეს წაეკითხა ჟურნალი და ეთქვა თავისიანებში: დემოკრატიული ჟურნალი არისო.

სასახლის კაცს, გიგო სუმბათოვს, ამისათვის ყური მოეკრა, დაეხსომებია და როცა შემთხვევამ ნება მისცა, ეთქვა ილიასთვის:

– ილიავ, წავიკითხე შენი ჟურნალი და უნდა გითხრა, დემოკრატიჩესკი არის.

– როგორ თუ დემოკრატიჩესკი?

– ისე დემოკრატიჩესკი.

– მაშ რა გინდა იყოს?

– არისტოკრატიჩესკი.

– ეს თუნდ ბატონიშვილს ერეკლეს ეთქმის, მაგრამ შენ რაო ჩემო?

– ვითომ და რათაო?

– აბა რა გაქვს შენ არისტოკრატიჩესკი, აი თუ გინდა თავი (დიდი შნოს-პატრონი არ იყო).

– თავი კი განზე იყოს, მაგრამ შენი ჟურნალი კი მაინც დემიკრატიჩესკი არის, განუმეორა სუმბათოვმა.

„საქართველოს მოამბემ“ ზემოთქმული მიზეზების გამო დიდხანს ვერ იცოცხლა. საშუალება რომ შემოაკლდა

* სამხედრო პირი მახლობელი თესავი ცნობილი კონსტ. მამაცაშვილისა. – ს. ც.

ილიამ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას თავი

ანება. მარცხენა გზით სიარულისაგან რომ არაფერი გამოვიდა, ილია მარჯვნისაკენ გაემართა.

„ლიბერალობა ოქროს ჯაჭვზე გასცვალა“.

*

* *

1864 წლის დამლევს ილია გაგზავნეს იმერეთს, ქუთაისის გენერალგუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ, რომელმაც დაავალა მას გამოერკვია რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხკაცთა შორის, ბატონ-ყმობისაგან წარმომდგარი.

როცა ბატონ-ყმობა მოისპო და საგლეხო დაწესებულებები დამკვიდრდა თბილისის გუბერნიაში(4 ნოემბერი 1864 წ.), ილია დანიშნეს მომრიგებელ შუამავლად დუშეთის მაზრაში.

ამაზე უკეთესს ადგილს ილიასათვის კაცი ვერც კი წარმოიდგენდა. მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის აზრით, გლეხ-კაცის მამაა, მისი „მფარველი ანგელოზი“ როგორც ამბობდნენ იმ დროებში, როცა თანამდებობა არსდებოდა. კანონი იმას სდებს იაროს სოფელ-სოფელ და ადვილზე გაარჩიოს ნაბატონევთა და გლეხთა შორის მომხდარი ცილობა. ის არის ობლის პატრონი, სოფლის მართვა-გამგეობის მეთვალყურე, მასწავლებელი და მოძღვარი გლეხკაცობისა. ილიაც სწორედ საამისოდ იყო დაგეშილი და მერე ის დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად არა სადმე სომხეთში, როგორც დღეს არის მაგალითად, გადავარდნილი, ილია ჭყონია, დუტუ მეგრელი, არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდამ ორ ნაბიჯზე, მთიულეთს ახლო, მყინვარის კალ-

* საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი. – ს. ც.

თებზე, სადაც ის პოვნიდა ყოველგვარ მასალას, როგორც მგოსანი, ენის მოყვარე, მამულის ერთგული; მარტო მთიულეთი და მისი პოეზია რად ღირდა მგოსნისთვის და ილიას მისი ადგილი არა სხვა სახელმწიფო სამსახურზე არ უნდა გაეცვალა, მაგრამ არ ვიცი რა იყო მიზეზი, როცა ჩვენში შემოვიდა სასამართლოს რეფორმა (1868) ილიამ შუამავლობას თავი დაანება და ის დანიშნულ იქნა დუშეთის მომრიგებელ მოსამართლედ,

მომრიგებელ შუამავლად ყოფნის დროის ამბავი მე არა გამიგონია რა ილიასაგან. მსოლოდ, ერთხელ, როცა ჩინოვნიკების ქუდის კაკარდაზე ჩამოვარდა სადღაც ლაპარაკი, ილიამ მთიულების გულუბრყვილობის ნიმუშად გვიამბო, თქვენთან პატივი,ბატონებო და შემდეგი:

პოსრედნიკად რომ ვიყავი, ერთხელ ანაზდეულად

მთიულეთს მომიხდა მისვლა, საცა კვირა დღეს ხალხი მოგროვილიყო ერთს სოფლის სასამართლოში. რაღაც საქმის გამო მე მამასახლისს ვუბრძანე დაებარებია ერთი გლეხი, რომელიც შორი-ახლო იდგა იქიდამ. მამასახლისმა ბრძანება გზირს გადასცა. გზირი იქვე მიდგა განზე, და რაც ძალი და ღონე გააჩნდა, ხმა-მაღლა დაუძახა დაბარებულს. დაბარებულმა დაბლიდამ იყო თუ მაღლიდამ ხმა მისცა გზირს და მათ შორის გაიმართა ამ გვარი მიძახილ-მოძახილი:

– გიბარებენ ჩქარა!

– ვინ მიბარებს?

– ჩინოვნიკი.

– ვინ ჩინოვნიკი?

– აი ქუდზე რომ ქათმის... რაღაცა აქვს ის გიბარებს.

ამის გამგონე ილია იტყოდა, ვითომ და ნაპოლეონის გენერალმა ვატერლოოს მინდვრიდამ სიტყვა რომ

შეუთვალა ინგლისელებს რით იყო ამ სიტყვაზე უფრო გემრიელიო?

მომრიგებელ მოსამართლედ ყოფნის დროიდამ მოგონება უფრო საინტერესოა.

თვითონ ილიამ გეომბო:

მოსამართლედ რომ ვიყავი ერთი გლეხი მიწას ედავებოდა ყაზიბეგს. – ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროსა მაქვს ნაყიდი, მოწმეცა მყავს და ახლა ყაზიბეგი მართმევს, მიშველე დამიფარეო, შემომჩივლა გლეხმა.

მე დავიბარე გლეხისაგან ნახსენები მოწმე.

– შენ მოწმე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლეხს აქვს ნაყიდი – თეიმურაზ მეფის დროს?

– დიახ, შენი ჭირიმე, მოწმე ვარ, თუნდ დამაფიცეთ, ფრჩხილის ნაკვეთი ამიღია.

თურმე ძველი ჩვეულება ყოფილა, როცა მიწას იყიდდა ვინმე, დამსწრე მოწმეს ფრჩხილს მოსჭრიდნენ. ამისათვის გასამრჯელოს აძლევდნენ იმას – და ეს მოწმე ვალდებული იყო უფროსი შვილისთვის ეამბნა ამ ნასყიდობის ამბავი. შვილი შვილიშვილს გადასცემდა და ამგვარად ნასყიდობის ისტორია გადადიოდა მოდგმიდამ მოდგმაზე. თუ ვისმე შვილი არ ეყოლებოდა იმათთვის უნდა ეამბნა ვინც გვარში უფროსი იქნებოდა.

ილიას ეს ჩვეულება მეტად არ გაეგონა. ძლიერ მოეწონა და მოწმის ჩვენების თანახმად სადაო მიწა გლეხს მიუსაჯა.

ყაზიბეგმა აპელაცია გადაიტანა, საცა სწერდა: მობრიგებელ მოსამართლემ მკვდრები ააყენა მიწიდამ და ჩვენება ჩამოართვაო, Мертвых допрашивает-ო.

---

* ავტორს ეს სტრიქონები გამოყოფილი აქვს ასეთი მინაწერით: „უწმაწურია და არ წამიკითხავსო“. – ს. ც.

ამაზე ილია იტყოდა: ბაბილონში აგურზე იპოვეს წარწერა ესადა ეს მამული ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ისა-და ეს, რომლის ფრჩხილი ამ აგურში არისო. გატეხეს აგური და შიგ ფრჩხილი ნახესო.

მეორე მოგონებაც ილია მოსამართლისაგან განაგონი: ერთჯერ ილიამ ერთი ძმის მაგიერ მეორე გაასამართლა და საპატიმროში ჩასვა.

ვიღაც ზაქარიას ბრალდებოდა ხეების მოპარვა. საქმის გარჩევის დროს მოსამართლემ ბრალდებულის გვარი მოიკითხა.

– მე გახლავარ ბატონო, წამოიძათა გლეხმა.

– შენ წაიღე ხეები?

– დიახ, ბატონო წავიღე.

რაკი დანაშაული ეჭვს გარეშე იყო, იქვე განჩინება დავსწერე და ბრალდებული საპატიმროში გავგზავნე. ჯერ კიდევ საპატიმროში ყოფნა არ გაეთავებინა დასჯილს, რომ ჩემთან მოვიდა მისი ძმა.

– შენ ვინა ხარ?

– ესა და ეს ზაქარია გახლავარ ბატონო.

– როგორ ზაქარია, ის ხომ ციხეში არის?

– არა შენი ჭირიმე, ციხეში ჩემი ძმა გავგზავნე.

მე საქმეები მქონდა ქალაქში და არ მეცალა, მიპასუხა გლეხკაცმა.

მომრიგებელ მოსამართლედ ილია დარჩა 6 თუ 7 წელი.

*

* *

1874 წელს ილიამ სულ დაანება თავი სახელმწიფო სამსახურს და შეუდგა თბილისის საადგილმამულო ბანკის საქმეს. ამ წელს თბილისის თავად-აზნაურთა კრებამ

ის აირჩია კომისიის წევრად, რომელსაც დაევალა ბანკის წესდების შედგენა და როცა ეს წესდება თავად-აზნაურობამ მოიწონა, ილია მათსავე მინდობილობით გაემგზავრა პეტერბურგს და იქ მისი მეცადინეობით ეს წესდება დამტკიცდა. შემდეგს 1875 წელს ამ წესდების თანახმად თბილისმი გაიხსნა საადგილ-მამულო ბანკი და ილია არჩეულ იქნა ამ ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ.

ამის შემდეგ ილიას გაეხსნა ფართო ასპარეზი მოღვაწეობისა საქართველოს საქმეთა სასარგებლოდ. ამ დღიდამ მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში თბილისში ქართული საზოგადო საქმე ისეთი არა დაწყებულა რა,

საცა ილია თავკაცად არ ყოფილიყოს, თავ-მრჩევლად, საქმის გადამწყვეტად. ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ცოცხალი იყო, ვიდრე გაბრიელ ეპისკოპოსი მეტყველებდა, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი ზემოდამ დაყურებდა ახალთა თაობათა, ილია ჭავჭავაძეზე მაღლა კიდევ თუ იხსენებოდა სხვისი სახელი, მაგრამ მას შემდეგ რა კი ესენი მიიცვალნენ ილია დარჩა პირველ კაცად საქართველოში.

ამას იქით ილია არის: ილია ბანკირი, ილია რედაქტორი, ილია წერაკითხვის საზოგადოების თავმჯდომარე, ილია დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარე, ილია სათავადაზნაურო სკოლების გამგეობის წევრი, თავმჯდომარის ამხანაგი, ილია მწერალი, ილია მოლექსე, ილია წარმომადგენელი ქართულის მწერლობისა, მასპინძელი უცხოელთა სტუმარ-მწერალთა და სსვადასხვა.

მე აქ ილიას ცხოვრებას არა ვწერ, ილიას ცხოვრების მასალას ვაქუჩებ, რომელიც ან თითონ ილიასაგან გამიგონია, ან მისთა თანამედროვეთაგან მსმენია, ან მე თითონ ჩემის თვალით მინახავს და ამიტომ ჩემს ნანახს და განაგონს ილიას ცხოვრებიდამ მე აქ მხოლოდ და-

ახლოვებით ქრონოლოგიურად, მაგრამ მაინც უსისტემოდ ვსწერ. მე ხომ მეწვრილმანე ვარ ქართულის მწერლობისა და ჩემგან შეკრებილი წვრილმანებით მე თქვენ ილიას სურათი ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ნათლად დაგანახეთ, მე ჩემს ვალს ქართულს მწერლობაში მოხდილად მივიჩნევ.

*

* *

მე გავიცანი ილია პირველად 1879 წელს.

ამ წლიდამ დაწყებული დღემდე მისის სიკვდილისა მე ილიას კეთილგანწყობილებას არ მოვკლებივარ. პირველს ოთხ-ხუთ წელს, როდესაც თბილისში ვცხოვრობდი, მე მასთან უფრო ხშირი მისვლა-მოსვლა მქონდა ჯერ როგორც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წევრს და საქმის მწარმოებელს და შემდეგ როგორც გაზეთების თანამშრომელს.

სამწუხაროდ, იმ დროებიდამ ჩემს სამახსოვრო წიგნში თითქმის არაფერი არ ჩამიწერია ილიას ცხოვრებიდამ. მაშინ ჯერ არ მქონდა განზრახული შემედგინა ჩვენი მწერლების ცხოვრების აღწერა და ბევრი რამ ილიას ცხოვრებიდამ, რასაც დღეს შეეძლო მისი ბიოგრაფიის გახალისება შე მიმავიწყდა. მხოლოდ შემდეგში, როცა მე მივყავი ხელი ორბელიანის, ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის და სხვათა ცსოვრების აღწერას, მე ყოველს შეყრაზე ილიას ვუყურებდი და ვუსმენდი, რო-

გორც მსხვერპლს „მუშტრის თვალით“ და როცა იმისგან მოვდიოდი შინ, მის ნალაპარაკევს ვწერდი ჩემს სამახსოვრო წიგნში.

სულ ყველაფერი რასაც აქ მოვახსენებ მსმენელს, ან არის ამოღებული ჩემის სამახსოვრო წიგნიდამ, ან

თითონ საკუთარის ჩემის მეხსიერებიდამ, და არაფერი არ ურევია აქ, რაც სხვის კალამს ეკუთნოდეს, სხვისი ნაწერებიდამ იყოს ამოღებული.

გარნა არც კი ვიცი საიდამ დავიწყო წერა, რა რიგზე ამოვწურო სამახსოვრო წიგნიდამ ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდამ.

მგონია ისევ ისა სჯობია თავიდამ დავიწყო, ათადამ-ბაბადამ, როგორც თითონ ილიას უყვარდა თქმა, ესე იგი შინ მივიდე მასთან და ჯერ შინაური კაცი დაგანახოთ.

*

* *

ილია ჯერ იდგა ახალ, ბებუთოვის ქუჩაზე, სტაროსელსკის * სახლის პირდაპირ. მერე ოთხმოციან წლების მეორე ნახევარში ის გადავიდა კუკიას, თავის დის ლიზა საგინოვის სახლში, ბოლოს დროს იმან იყიდა საკუთარი სახლი ანდრიას ქუჩაზე.

ილიას არ ჰქონდა ფართოდ გაშლილი სტუმრიანი სახლი. მასთან თქვენ ვერ შეხვდებოდით ქალაქის მაღალ საზოგადოებას, Велико-светская публика-ს. მის სალონში თქვენ შეეყრებოდით მხოლოდ მწერლებს, არტისტებს, საზოგადო მოღვაწეთ, ქალთაგან მარტო ნათესავებს.

თუ რამე საღამო გაკეთდებოდა მასთან ან წვეულება იქნებოდა, მომსვლელები ამათ წრიდან იყო.

ილია იყო თავაზიანი კაცი, პურმარილიანი მომლხენი. მას პირადად და მის სუფრას, რომელსაც ქართუ-

---

* სტაროსელსკი ილიას ქვისლი იყო და ალბად აქ მოხსენებული სტაროსელსკიც ან თვით ქვისლია ან მისი ახლო ნათესავი ს. ც.

ლი კერძი თავის დღეში არ განშორებია, მუდამ ქართველი მოსამსახურენი მსახურობდნენ. საქართველოს საუკეთესო კაცს და მამულის მოყვარეს, მუდამ სწავლული და მამულის მოყვარე მოსამსახურე ებედებოდა.

თითონ ილიამ გვიამბო: ერეკლე ბატონიშვილს ვაჟი რომ დაებადა დილა ადრიანად ჩემთან შემოიჭრა ბიჭი

და ჩვენ შორის ამ გვარი დიალოგი გაიმართა:

მომილოცავს ბატონო!

– რა, ბიჭო?

– ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას.

*

* *

1884-ს იყო თუ 85-ს, როცა ილია წამოვიდა სამეგრელოს მთავრის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად, ილია ისე გამხიარულდა, რომ ბანძას მექი ფაღავასას ** და ჩემთან ცაიშში ** სულ „ფარინა, ფარინა *** იმღერა და ფერხულით გული შეიჯერა.

ილია აუჩქარებელი კაცი იყო, დინჯი, მძიმე. აუჩქარებელი ხშირად ნიშნავს ზარმაცს და ეს თვისება – ზარმაცობა – ღმერთო შენ შეგცოდე და ილიას ცილისწამებად არ უნდა მიეთვალოს.

დიმიტრი ყიფიანმა მოსწერა იმას ერთხელ ქვიშხეთიდამ სამდურავი, რას უგვიანებ წერა-კითხვის საქმეებსო. სხვა რომ ვერა მოახერხა რა თავის გასამართლემელი, ილიამ პასუხად მისწერა მხცოვანს პატრიოტს, არაფერია, ყველაფერს მოვასწრებითო, – რუსთველმა სთქვაო:

---

* მექი ფაღავა – ვექილი, საზოგადო მოღვაწე, მემამულე სოფ. ბანძაში. – ს. ც.

** ცაიში, სოფელია, სამეგრელოში, სადაურიც ი. მეუნარგია იყო. – ს. ც.

*** ეს სიტყვები შეიძლება შეცთომით იყოს დაწერილი ნაცვლად მეგრული „ჰარირა-ჰარირა“-სი, რადგან ცეკვის დროს ასე მღერიან სამეგრელოში და არა „ფარინა-ფარინას“ – ს. ც.

„თქმულა, სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“.

მეორე მაგალითი: 1890 წელს, როცა ქალაქმა ბათუმმა ითხოვა, თბილისის სააზნაურო ბანკს ნება მისცემოდა მიეღო გირაოდ ბათუმის მამულები, ფინანსთა მინისტრი ქალაქს ჩამოვიდა, მაგრამ ილია არ წარსდგა მასთან და არ წარუდგინა ამ საგანზე მოხსენება. როცა ამის გამო საქმის გარდაწყვეტა დაგვიანდა და ილიას უსაყვედურეს რატომ მინისტრი არ ნახეო, პასუხად სთქვა: „ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც ჩემი მიუსვლელობა დააბრკოლებდაო“.

*

* *

მაგრამ ილია, როგორც ეს შეეფერება პოეტს ხშირად და ადვილად მოდის აღტაცებაში და ეძლევა პათოსს

ხანდახან სულ უბრალო მიზეზების გამო.

– ვაა... ვერ წარმოიდგენთ... მითხრა ერთხელ იმან, რაღაც შემთხვევის გამო, ბრაზილიის იმპერატორმა დონ-პედრომ შეუთვალა ვიქტორ ჰიუგოს (აქ მგოსანი წამოდგა ზეზე და გამოიჭიმა მთელის მისის სიმაღლით): შენი ნახვა და გაცნობა მწადიანო. ამის პასუხად ჰიუგომ შეუთვალა მეფეს: მე სადარბაზოდ არავისთან არ დავდივარო. მაშინ იმპერატორმა და მისმა ტახტის მემკვიდრემ თითონ ინახულეს დიდი მგოსანი. ვიზიტის დროს, როცა მასპინძელმა სიტყვაზე „თქვენო უდიდებულესობაო" უთხრა მეფეს, მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანს და უთხრა თავის მემკვიდრეს: Сын мой, помни, здесь нет другого Величества кроме Виктора Гюго… ეს სიტყვები ილიამ დიდის ამბის-ყოფით წარმოსთქვა, ეტყობოდა სიხარული, რომ ქვეყნის მბრძანებელი ასეთგვარად ემორ-

ჩილებოდა სიტყვისა და ლექსთა მეფეს როგორიც იყო ვ. ჰიუგო.

*

* *

ლაჰარაკში ილია უძლეველი იყო. მის დიალექტიკას, მისს მოსწრებულ სიტყვებს, მის მდიდარს ლექსიკონს ჩვენს ქართველობაში წინ ვერავინ უდგებოდა. ვის არ ახსოვს მისი სიტყვები საადგილმამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებებზე წინააღმდეგ ძმათა მაჩაბელთა. ბევრნი გრძნობდნენ, რომ სიმართლე ვანო მაჩაბლისაკენ იყო, მაგრამ ილიამ გაჭეჭყა ის თავის დიალექტიკით და მოსწრებული სიტყეებით.

აი ერთი მაგალითი ილიას უძლეველობისა ლაპარაკში. „ვის-რამიანის“ ბეჭდვა რომ იწყებოდა, უანასკნელი რედაქციის დადგენა და ვარიანტების ერთიერთმანეთთან შეთანხმება მიანდვეს ილია ჭავჭავაძეს, პეტრე უმიკაშვილს და ალ. სარაჯიშვილს. ერთს უძველეს ვარიანტში ამათ დაინახეს, რომ **უ**-ს ბრჯგუ არ აქვს. ილიას მეტი რა უნდოდა, ჩვეულებრივის აღტაცებით იმან დაიჯინა **უ** უბრჯგუოდ დავბეჭდოთო. უმიკაშვილი თითონ თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარის არქაულის ფორმისა, მაგრამ ასე გასინჯეთ იმასაც კი შეემინდა ამგვარის გადაწყვეტილებისა. რადგანაც კორექტორი ის იყო, ეშინოდა ბრჯგუს განდევნა იმისთვის არ დაეწამებიათ. იმან დასწერა ამ საგანზე დადგენილი გადაწყვეტილება და ხელი მოაწერინა ილიასა და სარაჯიშვილს. მერე წიგნი დაიბეჭდა.

მაგრამ შენი მტერი. ის რომ დაიბეჭდა, თქვენ თითონ გადაშალეთ წიგნი და დაინახეთ შიგ რაები სწერია.

წრმოიდგინეთ რა სიტყვები გამოვიდოდა თუ ბრჯგუ არ

ექნებოდა **უ**-ნით დაწერილ სიტყვებს: ჩვენ – ჩუენ; მოსვენება – მოსუენება; გამოკვება – გამო...

– ილია, ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდნიათ – ჰკითხეს პოეტს.

– წარმოიდვინეთ: მე რომ რუსეთში ვიყავი პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდნია?

– მე ისე დავბეჭდე, როგორც შენ გადასწყვიტე.

– თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მიფიქრია.

გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია, უთხრა გაჯავრებით პეტრემ და გაიხსნა უბის ჯიბე. ამოიღო მანდედამ ხელმოწერილი ბარათი და თვალწინ დაუდვა.

– თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, მე სხვა რიგად დაწერილი მეგონა, უთხრა მაინც ილიამ და იმდენი ილაპარაკა, სანამ საწყალი პეტრე დამნაშავედ არ გამოიყვანა.

*

* *

ილია ხელმოჭერილი კაცი იყო. სძულ იმას სჩიოდა მეტი აღარა ვართ ამ საქველმოქმედო საღამოებისაგანო. საცაა ჩვენდა სასარგებლოდაც უნდა გავმართოთ წარმოდგენაო და სხვა ამგვარები. უცნობი ქალი ან კაცი რომ მოვიდოდა მასთან, იმას სულ იმის ეშინოდა, ვაი თუ ფული მთხოვოსო. ერთხელ საადგილ-მამულო ბანკში მასთან მოვიდა პლატონ იოსელიანის ცოლისაგან მოგზავნილი ქალი. ილიას ეგონა მთხოვნელი არისო და მიღების უარზე დადგა, მაგრამ მოგზავნილმა შემოუთვალა პლატონ იოსელიანისაგან დარჩენილი ნაწერი მომაქვს თქვენს

ჟურნალში დასაბეჭდათო და პოეტს გადასცა – „მეფე გიორგის ცხოვრება“, იოსელიანისაგან შედგენილი, შემდეგში „ივერიის“ ნომრებში დაბეჭდილი *.

მაგრამ ამ ხელმოჭერილ კაცს სულ არაფრად მიაჩნდა ასობით და ათასობით ფულის წაგება ბანქოს თამაშში.

ოთხმოციან წლების დამდეგს ილია თითქმის ყოველ საღამოს თამაშობდა. ჩვეულებრივი მისი პარტნიორები იყვნეთ გიორგი შარვაშიძე ** (დიმიტრიჩი), კონსტანტინე რეიტერი, *** კოლა ერისთავი, დავით ავალიშვილი. კრუჟოკში ან კლუბში ის ხშირი სტუმარი არ

იყო. იქ თუ წავიდოდა ის მხოლოდ ზაფხულობით. მე ხშირად გამოვსულვარ დილა ადრიანად ალექსანდრეს ბაღში და შევყრივარ ილიას კუკიიდამ მომავალს შემდეგ ღამის თამაშში გატარებისა.

განსვენებული ილია ხონელისაგან გამიგონია: ილიამ მთელი ღამე თურმე ითამაშა სადღაც კლუბში და ათასხუთასი მანეთი წააგო. შინ რომ დაბრუნდა და ეტლის გასასტუმრებლად ქისა ამოიღო, შიგ ნაშალი ვერ იპოვა, ერთი თუმნიანი-ღა შერჩენოდა იმას გაუტეხელი.

– ეჰ, საცა სხვა წავიდა ესეც წავიდესო, გაივლო მგოსანმა გულში და გაუწვდინა ქუჩერს თუმნიანი.

– აჰა წაიღე, უთხრა პოეტმა.

– ბატონო აქ ერთი თუმანია.

– არაფერია, წაიღე, განუმეორა მან.

– გეტყობა კნიაზო. წუხელის მოგიგიათ, ღმერთმა ყოველთვის ასე მოგაგებიოსო, დაუმადლა სულგრძელ მგოსანს თვალგაპრიალებულმა ქუჩერმა.

---

* ვანო მაჩაბლისაგან განაგონი.

** აფხაზეთის მთავრის მემკვიდრე მწერალი, დრამატურგი ს. ც.

*** რუსი მოხელე – ს. ც.

*

* *

ახლა უნდა გადავიდე ილიას რედაქტორობაზე და გაზეთზე, მაგრამ ჯერ მოისმნეთ ეს რამდენიმე ნაწყვეტიც ჩემის დღიურიდამ á bâton rompu.

გაზეთის „ივერიის" გამოცემას რომ მოკიდა ხელი ილიამ, ის დიდს ფაცა-ფუცში იყო. მე იმ დროს პეტერბურგში ვიყავი დროებით და – რადგანაც გაზეთში თანამშრომლობა მქონდა აღთქმული (სხეათაშორის გაზეთში უნდა დაწყებულიყო ჩემგან შეკრებილი ისტორიული და სამწერლო ნაკვესების ბეჭდვა, რომელზედაც ფსეედონიმად ლელო ეწერათ. თითონ სათაური ნაკვესი ილიასაგან არის გამოგონილი, მაგრამ ფსევდონიმი არ მოსწონდა). 20 დეკ. 1885-წელს ილია მწერდა თბილისიდამ:

„დაგვანებე, ჩემო იონავ თავი და დაგვაობლე ამისთანა გაჭირვების დღეს... მაგრამ რა გაეწყობა? თურმე სოფელი ასეა. თუმცა შენ ბევრს გვაკლიხარ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას არ ვიშლით და ვჩხირკედელაობთ 1-ს იანვრისთვის. ვნახოთ ღერძი ბედისა როგორ დაიწყებს ტრიალსო. გიგზავნი გამოცხადებულს და ყველგან გაგზავნილს უწყებას ჩვენის ახალის გაზეთის გამოცემის თაობაზედ. ზოგიერთმა ჩვენგან ახლად შემოღებულმა სიტყვებმა და ტერმინებმა მოწონების და დაწუნების ღაღადი მოჰ-

ფინეს ჩვენს სალიტერატურო არე-მარეს. ჩვენ ვნუ გეშობთ და ვამბობთ Значит, свет нас заметил. უარარაობას კიდევ ესა სჯობია. ახ, ნეტავი ეხლა ჩვენთან იყო. ყინვამ მაგ უმადურ და უსიხარულო ქვეყნისამ გული არ გაგიყინოს და არ დაგვღუპოს შენდამი მსასოებელნი.

33

შენი ფსევდონიმი არც ერთი არ მომეწონა. აქ მოვიგონეთ ორი ფსევდონიმი; 1. „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ თუმცა გრძელია, მაგრამ შენზედ ზედ გამოჭრილია;

2) „აბედი“, ვითომ ნაკვესმა შენ ცეცხლი მოგიკიდა როგორც აბედს და შენ ჩვენ გადმოგვეცი. ეს უკანასკნელი კარგია, მაგრამ აკაკი წერეთელს საბუთს მისცემს ქართული აბედი რუსულ обед-ად გადააქციოს; მაინც შენ სხვის სადილების მაძებარს გეძახოდა და დაგცინოდა. ორში ერთი ამოირჩიე და ტელეგრამით მაცნობე.

ასოებისათვის ფული საჭირო არ არის, რადგანაც თვითონ ასოები აქ ჩამოვასხმევინეთ და ძალიან ცოტა განსხვავება აქვს მანდაურებთან. წიგნები რაც საჭირო იყო, დავიბარეთ, ვიდრე შენი წერილი მომივიდოდა.

ნიკოლაძესა სთხოვე და შეეხვეწე ჩემმაგიერ, ჩვენს გაზეთს თავისი ნაწერებით შეეწიოს. მომიტევოს ამ ჟამად, რომ საკუთარს წერილს არა ვსწერ. ეგ იმისთანა კაცი არ არის, რომ ამის გამო გაგვიწბილდეს და გულიდამ ამოიღოს ჩვენი გაზეთი, წვრილმანმა წვრილმანს მოუკიდოს ცეცხლი.

ქაღალდის თაობაზე სერებრიაკოვს * წერილი მივწერე და პასუხს ველი. ჯერ ხანად Новое обозрение-ს ფორმატის ქაღალდს ვიხმარებთ.

კაცო, რატომ არა გვწერ, – ეგ ჩვენი მუხრანბატონი რას სჩადის და როგორ მიჰყავს ჩვენი საზოგადო საქმეები. შენგან მიკვირს და მეოცება. ღმერთსა ვთხოვ, რომ სამერმისოდ არც ერთი შემემთხვას შენგან და არც მეორე. ასე, ჩემო იონავ,

* სერებრიაკოვი – ქართველი მრეწველი ოქრომჭედლიშვილი.
ს.

იყავ მშვიდობით და დღეგრძელობით და არ დაივიწყო, რომ შენ ერთად ერთი მეგობარი გყავს და ის ერთად ერთი – შენი **ილია ჭავჭავაძეა.**

20 დეკემბერი.

P. S. მოუთმენლად ველი შენს სტატიას. ილი-

კომ მოგიკითხა. მოიკითხე ყველანი, ჩემი ნაცნობები.

„ივერიის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1 იანვარს 18864 წ.

„ივერიის რედაქცია ამ დროს კუკიის ქუჩაზე იყო მოთავსებული პოეტის დის ლიზა საგინოვის სახლში. დაბლა იყო გამართული გაზეთის სტამბა, მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რედაქტორი.

რომ ახვიდოდით მეორე სართულზე, მარცხენა კარებს შეყავდით თქვენ გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას სადგომში. სადგომის ყურეში, შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი – პატარა ტანის ოთახი – სწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც ეს შეეფერებოდა მის პატრონს – პოეტს და მამულის მოყვარე რედაქტორს.

შეხვიდოდი თუ არა კაბინეტში, ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადის სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა. ჭერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართო მედალიონები მეფის ლუარსაბისა, დიმიტრი თავდადებულის, გიორგის თამარის მამისა და დავით აღმაშენებლისა. შუაში იდგა წმინდა ნინოსი.

კედლებზე ეკიდა: მეფე ერეკლე, გორგასლანი.

კედლებზედვე: სოფლის გლეხკაცი და ყასაბი გაბაევისა, მურილლთ-იოს გრავიურა, მითოლოგიური სურათები.

კაბინეტი სავსე იყო შკაფებით, სტოლებით, წიგნებით, ქანდაკებებით.

რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გიოტესას, კიდევ სხვაგან რუსთველისას, გარიბალდისას.

იქა-აქ კვდლებზე: კაკაბს და ხოხობს.

და რადგანაც ნამდვილს ქართველს ძველთაგან ანდერძად უწერია, თქვენ ამ კაბინეტში ნახავდით რვა ყანწს, ერთს მეორეზე უდიდესს.

მთავარი სტოლი კაბინეტში სავსეა რაგინდარათი: წიგნებით, გაზეთებით, სამწერლო იარაღებით, სულ ყველაფერი ამ დიდ სტოლზე არეულ დარეულია, რომ აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურს დაუდევნელობაზე. აი აგერ დიდი ამომშრალი საწერელი, რომელშიაც ვიღაცას მეორე მომცრო ტანის საწერელი ჩაუდგამს. აი შველის ქანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი აქვს წამოცმული. აი გადაშლილი წიგნი, პაპიროსის ნამწვრით შუა გულში, აი გლობუსი, საანგარიში, სათვალე, გაზეთის ორიგინალები, ვეებერთელა წითელი კარანდაში...

თუ საღამოა, ამ სტოლთან თითონ რედაქტორი ზის და აქ ამ ვიწრო ქარხანაში მზადდება დღეს ის აზრი,

რომელიც ხვალ შეიძლება სახელმძღვანელოდ გახდეს ყველა ქართველისათვის ბაქოდამ დაწყებული სოხუმამდის და კავკასიის გარეთაც.

როგორც გაზეთის თავი – მესვეური ილია დიდად ნაყოფიერი იყო. ის ბევრსა სწერდა და გრძლად სწერდა. გრძლად წერა სამწუხაროდ, მისი ნაკლულევანება იყო.

36

გაზეთი წიგნი არ არის, რომ კაცი დაუჯდეს იმას და იკითხოს. გაზეთის სტატია თუ ჟურნალის სტატიად გახადა კაცმა რაც უნდა კარგად იყოს ის დაწერილი, თვისს ღირსებას კარგავს.

გაზეთი თქვენ ბულვარზე სადმე იყიდეთ, გზა-გზა მიმავლად იმას თვალი გადაავლეთ ან ვიჯექით სადმე, ზელტერის წყლით სიცხიდამ სული მოიბრუნეთ და უფრო მეტი ხანი მოანდომეთ იმას, რომ წაიკითხოთ ტელეგრამები, ახალი ამბები, მცირე შენიშვნები და ბოლოს თუნდ მეთაური წერილიც, თუ ის მოკლედ არის დაწერილი. მაგრამ თუ ეს წერილი გრძელია არა ადვილად საკითხი, გაყოლებით დაწერილი, წინასიტყვაობით, სხვადასხვა წინადადებით ერთმანეთში აცმულ გადაბმული, რომელსაც აჭრელებენ: „როგორცა ვთქვი“, „რომელიც რომ“ და სხვა ამგვარები, თქვენ იმას ეერ წაიკითხავთ.

და თუ წაიკითხავთ, ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბევრი დრო გქონიათ.

უმეტესობა კი ათის მკითხველიდამ ცხრა, ამ სტატიას არ წაიკითხავს.

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის თუ შაირზე მარტო სთქვა რუსთაველმა, ალბათ იმიტომ, რომ მეთორმეტე საუკუნეში არც გაზეთები იყო და არც მოწინავე სტატიები.

მე ხელთ არა მაქვს ილიას გაზეთის „ივერიის“ კოლექცია და მაგალითს აქ ვერ მოვიყვან. მაგრამ ისე მახსოვს, რომ იშვიათია ილიას მოწინავეს არ ეჭიროს გაზეთში ორი-სამი სვეტი, ხან ოთხი, ხუთი, ექვსი.

გაზეთს ქვეყანა კითხულობს და ქვეყანას ამ გაუთავებელის სტატიებისთვის არა სცალია.

37

ფრანცუზები იტყვიან: quand vous vouler dirce-il pleut, dites iI pleut. ეს ქართულად ასე ითარგმნება: თუ გინდათ სთქვათ, რომ წვიმს, სთქვით წვიმს. და ნუ მოყვებით ათადამ-ბაბადამ, ნუ დაიწყებთ ციდამ, ღრუბლიდამ, ჰაერიდამ, სთქვით მოკლედ: წვიმს.

ისევე ითქმის საზოგადოდ იმ გვარ მეთაურ წერი-

ლებზე, რომელსაც ეკუთვნოდა ილიას წერილები. ეს წერილები მოკლედ და პირდაპირ ვერ ეუბნებოდნენ მკითხველს იმას, რისი თქმაც მის დამწერს უნდოდა და რაც, როგორც პოეტს, მას შეეძლო.

მეშინია მეტის თქმა არ გამომივიდეს, მაგრამ არ შემიძლია შემთხვევით არ ვისარგებლო და ამ გრძელ მოწინავეებზე ორი-სამი სიტყვა კიდევ არა ვსთქვა ყოველი გაზეთის ნომერი, რომელშიაც გრძელი მოწინავე წერილია დაბეჭდილი წვალებაა ჩემთვის.

ერთი დიდი, საფრანგეთის ფილოსოფოსია ოგიუსტ კონტი ამბობს: მწერალს არ უნდა ჰქონდეს უფლება ათამაშოს მკითხველი თავის სურვილისამებრ, სწეროს როგორც იმას უნდა. ყველაფერი კანონს და ზომას უნდა ემორჩილებოდეს, უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ყოველს ფრაზაში ქვემდებარე იყოს, შესმენილი, დამატებითი სიტყვა და კიდევ არ მახსოვს რა და შემდეგ ფრაზა თავდებოდეს, მძიმე დაესმოდეს. როცა მე ვხედავ ოთხი-ხუთ სვეტიან მოწინავე წერილებს გაზეთში, მეც ის ცხოვრებაში განუხორციელებელი ფიქრი მომდის, როგორც კონტს, რომ შეიძლებოდეს ამ გრძელი მოწინავეების შემოკლება, თუნდ ისეთ გვარად როგორმე, როგორც მაგალითად სახელმწიფო სათათბიროში ამოკლებენ ორატორის სიტყვებს ხუთი წამის ლაპარაკის შემოღებით.

38

ჩემი იდეალი გაზეთის მოწინავე წერილების მწერლისა არის საფრანგეთის ჟურნალისტი ჟირარდენი. აი როგორ ახასიათებს ჟირარდენის წერას საფრანგეთისავე მწერალი დანკური:

„ის (ჟირარდენი) იწყებს რამე საგანზე ლაპარაკს, წამოაყენებს წინ ერთს აზრს, თეზისს. მოუსვამს კალამს და ორ სტრიქონში – საქმის ექსპოზიცია მზად არის. ორი-სამი სტრიქონი და ჟირარდენი შუაგულ კითხვამდის არის მიწევნილი. ამის შემდეგ ის გადადის დასკვნაზე, ის წინდაწინ ხედავს თუ თქვენ მასთან არა ხართ თანახმა და თქვენსკენ მოიწევა. თქვენ შეიძლება ამაზე ესა და ეს მითხრა; ახ, რა გვარად მებრალებით და ის მტვრად აქცევს თქვენს ნათქვამს ან დაანახვებს სხვებს რომ თქვენი ნათქვამი მტვრად აქცია და გასწევს და გასწევს. კიდევ ორი სტრიქონი. გათავდა? არა იმას კიდევ აქვს სათქმელი უკანასკნელი სიტყვა, კიდევ უნდა გაისროლოს უკანასკნელი ისარი. ახლა მაინც გათავდა? არა. ერთი სტრიქონი კიდევ და ამ სტრიქონში სულ ბევრი-ბევრი სამი სიტყვა, ხანდახან ორი და ხშირად ერთი. ჰა, და გათავებულ მოწინავეს ხელი მოაწერა“.

ამგვარად ილიას არ უწერია.

ილია რედაქტორი თავის ნაწერს სანამ დასაბეჭდად გაგზავნიდეს, უკითხავს თავის თანამშრომლებს და ყო-

ველგვარ რჩევას სიამოვნებით ითვისებს.

ნინო მუხრან-ბატონის * დასაფლავების გამო მოწინავე წერილი რომ დაბეჭდა ილიამ „ივერიაში“ მეორე დღეს მკითხა:

– წაიკითხე ჩემი წერილი..

---

* დავ. დადიანის და, ივანე მუხრან-ბატონის მეუღლე. ს. ც.

– წავიკითხე გუმინღამვე სტამბაში და ძალიან მომეწონა. მხოლოდ რომ გინებებიათ და სამღვთო წერილის სიტყვაც ჩაგეტანებიათ – შიგ შრომის მოყვარე ქალის თობაზე დაწერილი. წერილი ბევრს მოიგებდა.

– რა სიტყვები?

– ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა.

– ოხ, მართლა რომ კარგი იქნებოდა და რატომ ეს სიტყვები არ მიაწერე რაკი სტამბაში მოხვედრიხარ, მითხრა ნაღვლით რედაქტორმა, საზოგადოდ დეკლამაციის მოყვარემ.

სხვის ნაწერებს ის თავაზიანად ეპყრობა, მხოლოდ ენის მხრით კი რედაქტორი ულმობელია, მეტადრე იმერეთიდამ გამოგზავნილი კორესპონდენციების და წერილების კითხვის დროს.

ენის მხრით ილია მართლა რომ კანონმდებელია ქართულის ენისა.

ვიღაცამ უსაყვედურა ვიქტორ ჰიუგოს: ეს სიტყვა ფრანგული არ არისო.

– არ არის, მაგრამ იქნებაო, თავმოწონებით უპასუხა საფრანგეთის დიდმა მგოსანმა.

იგივე ითქმის ილიაზე და ქართულ ენაზე.

სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, ჩვენში ამბობდნენ: უფალი კერესელიძე, უფალი მესხი. ეს უფალი ან იყო ამოღებული სამღვთო წერილიდამ, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდამ „Господин“. ილიამ სთქვა: „უფალი მესხი“-ს თქმას „ბატონი მესხი"-ს თქმა არა სჯობიაო? და ეს სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ მას ვერ განდევნის ეხლა ჩვენის ენიდამ ვერც „ამხანაგი“ და ვერც „მეგობარი" ისე, როგორც ვერ განდევნეს ფრანგულის ენიდამ „monsieur“ ვერც დიდი რევოლუციის citoyen-მა და ვერც კომმუნის Compagnon“-მა *.

მისგან მოგონილი სიტყვებთაგან მახსოვს: სულთასწრაფვა, თვალთა ხედვის ისარი.

იმას არ მოსწონს იმერულ წერილებში სიტყვები – „ვღებულობ“, „ამნაირად“. საცა ეს სიტყეები მოხვდება ილიას, მაშინვე შლის და სამაგიეროდ ზემოდამ აწერს, სიტყვებს: „ვიღებ“, ამ გვარად“...

საცა ჩვენ ჩვეულებრივად ვწერთ „მაგრამ“-ს ილია ხშირად – „გარნა“-ს სწერს.

იმასვე ეკუთვნის, მგონია, ეს „ჰსჩადის“, რომელსაც ეხლამდის ვერ შევთვისებივარ, რომელიც არც ერთს ძველს წიგნში სადმე არ წამიკითხავს, არც ხალხში გამიგონია სურამის აქეთ მაინც. გადაღმაც არ ვარ დარწმუნებული, რომ ხალხში „ჰსჩადის“ ითქმოდეს, შეიძლება თქვან ჩადის, სიტყვიდამ ჩასვლა, მააგრამ „ჰსჩადის“ ქალაქში უნდა იყოს გაზვიადებული.

როგორც რედაქტორს, ილიას მუდმივ ერთი აზრი აქვს, გაზეთი არავის პირადობას უმართებულოდ არ შეეხოს. ამ მხრით ის დაშინებულია გაზეთის „დროების“ განურჩევლობით.

სხვისი პირადობის დამცველს თავის გაზეთში, ილიას არ უნდოდა რომ თითონ უმართებულოდ ეხსენებია ვინმე სხვის გაზეთში. როდესაც ნიკო ნიკოლაძემ „Новое обозрение“-ში ერთი წერილი დასწერა მისი პიროვნების შესახებ, ილიამ თავი შეურაცყოფილად მიიჩნია და ორი თვისი ამხანაგი მიუგზავნა სეკუნდანტებად ნიკოლაძეს – კოლა

ერისთავი და სოსიკო შალიკოვი *. ამან პასუხად ჭავჭავაძეს გაუგზავნა ორი თვისი ამხანაგი, დათიკო გურამიშვილი და ნიკოლოზ სიმბორსკი ** და მათ შორის გაიმართა დუელი. მოწინააღმდეგენი დადგნენ ბარიერზე გატენილის ფიშტოებით და ყეელაფერი იმ წერტილამდის იყო მოყვანილი, საცა ტყვია უნდა გავარდნილიყო, მაგრამ ამ დროს სიმბორსკიმ უკანასკნელის შერიგების სიტყვით მიმართა დუელიანტებს და დუელი მორიგებით დამთავრდა.

არ ვიცი ამ ორში ვინ ვის მოსთხოვა ბოდიში, რადგანაც მათი შერიგების პროტოკოლი არ გამოქვეყნებულა. როგორც გამიგონია, ჭავჭავაძეს უნდა ეთქვას: მე შეურაცყოფილად მივიჩნიე ჩემი თავი მარტო იმისათვის რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფიქრა, რომ რაც „ივერიაში“ დაიბეჭდა ის ჩემის თანხმობით იყოო. ნიკოლაძეს ამაზე უნდა ეთქვას: თუ ეს ასეა, მაშ, რაც მე ჩემს გაზეთში ვთქვი ჭავჭავაძის შესახებ უკან მიმაქვსო.

რედაქციაზე და გაზეთზე ლაპარაკს აქ ჩვენ უნდა დაურთოთ აკაკის სიტყვებიც.

აკაკი თამარაშენში იყო ვანო მაჩაბლისას და დაძინების დროს „ივერიას“ კითხულობდა. კითხვის დროს აკაკის მიეძინა და გაზეთს სამთლიდამ ცეცხლი მოედო.

– ფუ, ფუ, ფუო და ერთის ყოფით გააქრო ალი პოეტმა.

– მადლობა ღმერთს, წყალნარევი გაზეთია, თორემ ვერ დავაქრობდიო, აამა მგოსანმა ილას მოწინააღმდეგე ბანკის დირექტორს.

---

* სამხედრო პირი. ს. ც.

** რუსი პოეტი. ს. ც.

*
* *

ილიას, როგორც ბანკირს, ქართულ მწერლობასთან და ხელოვნებასთან კავშირი არა აქვს და ამიტომ მის მოღვაწეობაზე თბილისის საადგილმამულო ბანკში, მე აქ დიდს არას ვიტყვი. პოეზია და ანგარიში, ქნარი და ჩოთქი, როგორღაც ერთმანეთთან ვერ მიდიან, გარნა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ილია საზოგადო მოღვაწეა და რომ მისმა გონებაბ და შრომამ მისგან დაწყებული და წარმართულა ბანკი იმ ზომამდის მიიყვანა, რომ დღეს ბანკის დამფუძნებელი უკვე დაუბრუნდა უკანვე ძირის თანხა და როგორც ახლა, ამ წასვლაზე თბილისმი შე-ვიტყვე, შარშან ბანკს ქონდა იმდენი შემოსავალი, რომ ოთხასი-ათასი მანეთის ზარალი დაუფარავთ და კიდევ დარჩენილა წმინდა შემოსავალი ორასი ათასი მანეთი. ილიას ბანკის მოგებით უდგია დღეს სული ყველა, თბი-ლისის თავადაზნაურთა საზოგადო დაწესებულებათ.

დრო და ადგილი ნებას არ მაძლევს აქ ილიას ნა-წერებზე ვილაპარაკო და ამით ვათავებ ამ ჩემს მოგონე-ბას პოეტის ცხოვრებიდამ, თუმცა სამახსოვრო წიგნში ჯერ კიდევ არ გამომლევია მასალა ილიას შესახებ.

*
* *

დასასრულ ორი-სამი სიტევა ილიას საგურამოში ცხოვრებიდამ.

ილია ყოველ ზაფხულს ამოდიოდა საგურამოს, და-სასვენებლად. აქ ქონდა იმას ერთი, პატარა, ქვის სახლი, რომელიც გადაყურებდა არაგვის ხეობას. სახლის წინა ბალკონიდამ მგოსანს თვალწინ ედგა მშვენიერი – პანო-რამა კავკასიის მთებისა და ქვემოთ არაგვის ხეობისა.

ილია აქ ისვენებდა ქალაქის საქმეთაგან დამაშვრა-ლი. ყოველ 20 ივლისს, მის დღეობაზე აქ მოდიოდა მას-

თან მოსალოცავად დიდძალი ხალხი ქალაქიდამ და ხანდახან იმერეთიდამაც.

აქ, საგურამოში უახლოვდებოდა ილია ხალხის ცხოვრებას და ენას.

ყოველს შეყრაზე და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას, როგორც ფუტკარს, საზრდო გამოქონდა ხალხიდამ თავის სიტყვიერებისათვის.

დღეს ამა და ამ გლეხმა ლაპარაკში ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო, იტყოდა მგოსანი. ერთ ამგვარ სიტყვად მახსოვს იყო სიტყვა პეიტარი. ჰაზრით გამოდიოდა, რომ პეიტარი კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩავიხედეთ ლექსიკონში, აღმოჩნდა რომ პეიტარი საქონლის ექიმს რქმევია.

ხალხი იყო ილიასთვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმის.

დამატებანი

სამახსოვრო წიგნიდამ.

როგორც ამ წიგნაკში ვნახეთ, ი. მეუნარგია თავისთავს „ქართულის მწერლობის მეწვრილმანეს“ უწოდებს და „სამახსოვრო უბის წიგნაკებს" დაატარებს, რომ მის ფურცლებზე ამათუიმ მწერლის ცხოვრებიდან, შეხვედრებიდან ან საუბრებიდან მნიშვნელოვანი მომენტები მოხაზოს.

მისი აზრით ასეთი მნიშვნელოვანი მომენტებია მწერლის ცხოვრებაში მისი მოსწრებული სიტყვები, ან, როგორც თვითონ მეუნარგია უწოდებს, „ნაკვესები“.

სიტყვა „ნაკვესი", როგორც თვითონ მეუნარგია გვაცნობს (ამავე შრომაში), ილიას მიერ არის გამოგონილი. როდესაც ილია გაზეთ „ივერიის“ გამოცემას შესდგომია, ერთერთ თანამშრომლად ი. მეუნარგიაც მიუწვევია, რომელიც, სხვათა შორის, თავისი შეკრებილი ისტორიულ და სამწერლო ნაკვესებს „ლ ე ლ ო ს “ ფსევდონიმით ბეჭდავდა.

თუ როგორ აფასებდა ამ „ნაკვესებს“ ილია, ამის შესახებ თვით ილიას პირადი ბარათი (მეუნარგიასადმი მიწერილი 1885 წ.) მოგვითხრობს, რომელიც ამ წიგნშივეა მოყვანილი.

ჩვენ კი ვცდილობთ დავუმატოთ აქვე ზოგიერთი რამ, ნაკვესები იქნება ის თუ სხვა სახის ცნობა იმავე სამახსოვრო წიგნაკიდან. ილიას შესახებ ჯერ გამოუქვეყნებელი და უცნობი.

აი ესენი:

*

* *

1884 წ.

გუშინ საადგილმამულო ბანკში კრება იყო ქართული თეატრის შესახებ. ბევრი გრძლად ცხარედ ლაპარაკობდა რა ვიცი რას, უმეტესობა კი სდუმდა.

ილიამ გადახედა ჩაფიქრებულად და მდუმარედ მსხდომარეთ და უთხრა თავის მეზობელს:

Господа, вот где сила!..

*

* *

1887 წელს თელავში გარდაიცვალა მოლექსე იოსებ დავითა-შვილი, რომლის პანაშვიდზე თბილისში, აკაკიმ სიტყვა წარმოსთქვა.

– აკაძის სიტყვა დავითაშვილის დასაფლავებაზე ისეთი ხა-მუტია, რომელიც ვისაც გინდა იქ მყოფს დაედგმოდაო სთქვა ილიამ, რომელსაც აკაკის სიტყვა არ მოსწონებოდა თურმე.

*

* *

1891 წ.

ვანო მაჩაბელმა მიამბო:

ამას წინათ ილია დაბრუნდა რუსეთიდამ. ბანკში რომ შემო-ვიდა, შემოვეხვიეთ და ველაპარაკეთ. საქმის გარემოება რომ გვიამ-ბო, ანტონ ფურცელაძემ ჰკითხა ილიას:

– სხვა, რა ამბავია რუსეთში?

– რა უნდა იყოს, უპასუხა ილიამ, რუსეთში აწმყო არ არსებობს, რუსეთი მომავლით ცხოვრობს.

– არა – თუ?

– ჰო, დედა არ წამიწყდეს, დაასაბუთა ილიამ, რომელიც მუდამ დედის სულს ფიცავდა.

*

* *

30 აპრილი 1901 წ.

დღეს სადილად ვიყავი მიწვეული იაკიბ გოგებაშვილთან. სადილსზე იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ანტ. ფურცელაძე, ვახტანგ თუ-ლაევი, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და მე (მეუნარგია, ს. ც.).

სადილის წინ, სანამ მასპინძელი სადილის თადარიგისათვის სხვა ოთახებში დადიოდა, ილიამ ზალაში თვალი მოჰკრა ერთს წიგნს «Ревматизм и подагра» Паленштехера.

– ვაი ჩვენი ბრალი, ახლა ამას წაიკითხავს იაკობი და ამ ავადმყოფობას გაიჩენსო, სთქვა ი ლ ი ა მ .

*

* *

ერთსა და ერთს საადგილმამულო ბანკის საზოგადო კრებაზე არტილერიის გენერალმა თავ. ხიმშიევმა ილაპარაკა ილიას წინა-აღმდეგ. სხვათა შორის იმან სთქვა:

– Со стороны кн. Чавчавадзе это является давлением

На обшее собрание...

ილიამ უპასუხა:

– Я бы желал знать, о каком это давлении изволит го-
Ворить кн. Химщиев. Если он говорит о лавлении логики, это
Да будет мое, позвольте мне сказать ему, что против такого
давления никакая тяжелая артиллерия не могла-бы ничего
сделать.

*

* *

ზალიკი ჭავჭავაძემ დეპეშა მოსწერა ილიას, – სად არის ჩემი
ძმა იასე, შემატყობინეო.

ილიამ პასუხად მისწერა:

– Сначала уплатите за ответ.

*

* *

ე ქ ვ თ ი მ ე ხ ე ლ ა ძ ე : ბატონო ილია, შეარიგეთ ანტონ ფურ
ცელაძე და ნიკო დიასამიძე.

ი ლ ი ა : მე რა ვარ?...

ხ ე ლ ა ძ ე : საქართველოს მამა ხარ...

ილია: მე საკუთარი შვილი ვერ გამიკეთების და საქართვე-
ლოს მამობა როგორ უნდა გავუწიო?

*

* *

24 აგვისტო 1883 წ.

საგურამოში ვიყავი ილიასთან. ჩემს ოთახში სტოლქვეშ ჰამა-
კი ვიპოვე, გავიტანე გარეთ, კაკლის ტოტებში გავაბი და გავწექი.

ილია კაკლის ქვეშ იყო წამოწოლილი და „ილიადას“ კითხულობდა.

მ ე: ვიშ, სწრედ ინგლისელის მოგონილია ეს ჰამაკი.

ი ლ ი ა: არა. ამერიკელის.

მ ე: ამერიკა და ანგლია ვის გაუყვია?

ი ლ ი ა: ოკეანეს.

*

* *

ერთხელ ილიასა ჰკითხეს: რატომ არის, რომ აკაკი სულ შენ-
ზე ძვირს ლაპარაკობს და შენ კი მას მუდამ აქებო!

– ორივე ვცდებითო – ჩაილაპარაკა დინჯად მგოსანმა.

*

* *

ილიამ თქვა:

„ვეფხის-ტყაოსანი“ ზღვა არის, ყველას ეყოფა მისი სიმდი-
დრე, რომ ისწავლიდნენ.

დიდი ფსიხოლოგიური მომენტია – პირველად რომ დაიბარა

ნესტან-დარეჯანმა ტარიელი, მარტო შეხვდა და დაითხოვა, ვერ ელაპარაკა...

ავთანდილს თავისი სიყვარული დათრგუნვილი აქვს, расчитано, მაგრამ ძილში მაინც წამოაძახებს...

*

* *

ბარემ ესეც დავუმატოთ, უფრო მეუნარგიაა მაგრამ მაინც ილიაზეა ლაპარაკი და იმავე ბოხჩიდანა ამოღებული, საიდანაც ზემომოყვანილი სტრიქონები:

22 ივლისი. 1883 წ.

გუშინ საგურამოდან დავბრუნდი. იმერელი კაცისათვის ქართლის ცხოვრებაში სუყველაფერი საინტერესოა. მე პირველად გუშინ გავიგონე ქრთლელი კაცის დაძახების კილო. თითონ ილიამ დაუძახა ბალკონიდამ ბიჭს:

– თეედოო, აააი თედო!

ლეჩხუმელი რომ ყოფილიყო, ასე დაუძახებდა:

– თეეეედოოოო-თედო!

მეგრელი:

– ვოო თედო უუი.

გურული:

– თედო უი!

*

* *

რვეულის ერთ კიდეზე ი. მეუნარგიას ასე მიუწერია:

„აკაკის ილია არ მოსწონდა ისე, როგორც მიქელ-ანჯელოს რაფაელი არ მოსწონდა, კორნელის – რასინი, ვიქტორ ჰიუგოს – ლამარტინი, ლამარტინს – ალფრედ მიუსე, ბეტჰოვენს – რასინი...

*

* *

ილია ჭავჭავაძე ულმობელი გუშაგია თავისი ენისა. იგი ტრფიალია ქართულის ენისა. იმას უნდა ქართულმა ენამ სამარადისოდ შეინახოს თვისი ქართული პირისსახე, თავის არსებაშივე იპოვოს სურათი განძლიერებისა და განვითარებისა.

*

* *

აკაკი სულ მედამ თავისუფალი კაცი იყო, იშთა-იშთა მღერალი, მწერალი, მოლაპარაკე, მოსიარულე; ერთად-ერთი თანამდებობა, რომელიც იმას ქონია მის სიცოცხლეში, ქართული ტრუპპის რეჟისორობა იყო, მაგდამ გამბეტას იმდენ ხანს არ შერჩენია მინისტრობა, რამდენადაც იმას რეჟისორობა. ამასთან... „იტყოდეს ენა ჩემი კადნიერად ანუ მივსცნე მე იმას ქებანი სიცრუისანი“... აკაკის

სულ მუდამ ჩანგი არ უჭირავს ხელში და სამშობლოსა და ერს არ უმღერის, ხანდახან და ხანდახანზე უფრო ხშირად იმას, როგორც ი ლ ი ა ს (ხაზი ჩვენია – ს. ც.) – რამეთუ კაცნი ვართ, სათამაშო ქაღალდიც უჭირავს ხელში“... *

———

* ამოღებულია ი. მეუნარგიას მოგონებდან აკაკის შესახებ. მოგვყავს როგორც ილიას პირადი ცხოვრებიდან ერთი მომენტის აღმნიშვნელი მასალა.

ილიას წერილი ი. მეუნარგიასადმი

საყვარელო ძმაო იონავ, შენი წერილი მივიღე და ვწუხვარ რომ ვერაფერს სანუგეშოს ვერ მოგწერ. აი საქმე რაშია: ჩვენ ყოველს გასასესხს ვგზავნით დასამტკიცებლად სამინისტროში, რომელსაც უნდა ვაჩვენოთ რამოდენა შემოსავალი აქვს მამულს; ეს შემოსავალი ერთი 12½-დ უნდა აიღო და ის იქნება ფასი მამულისა. ამ ფასისა 60%-მდე შეგვიძლიან სესხად მივცეთ. რუსულად მოგწერ, რომ უფრო კარგად გაგაგებინო: Чистый годовой доход помножается на 12½ и произведение определяет стоимость имения. С этой стоймости выдается 60%.

პრინცესას მამულს შემოსავალი აქვს, შენ იწერები, 4000 მანეთი, აქედამ კანონით უნდა გამოვიდეთ 20% სხვადასხვა ხარჯისათვის, დარჩება 3200 მანეთი. ეს 3200 მანეთი უნდა ავიღოთ 12½-ჯერ და გამოვა 40.000 მანეთი მთელი ფასი მამულისა. აქედამ 60% შეიქმს 24.000 მანეთსა. ჩვენ ზოგიერთის მოსაზრებით ამაზე მეტი დაუნიშნეთ, სახელდობრ, 28.500 მანეთი და ამასაც ვშიშობთ, – ვაი თუ სამინისტრომ არ დაამტკიცოს. ბევრიც რომ მოვინდომოთ, ზემოხსენებულ ანგარიშს ვერ წაუვალთ და ვერც ვერაფერი გავხდებით რა კი შემოსავალი 4000 მანეთზე მეტი არარის, სამწუხაროდ ჩემდა, შენს წერილზე ამაზე უკეთესს და მეტს პასუხს ვერ მოგახსენებ. რაც არ შეიძლება, იმას ჩვენი გამგეობა ვერ იქმს. **

შენი ერთგული ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე .

———

ი. მეუნარგიას სიტყვა – ილიას დასაფლავებაზე

დაუვიწყარო მამულისშვილო ილიავ! შენი ჭირისუფალი განა მარტო ეს, აქ მოზღვავებული საზოგადოებაა, რომელიც სამი დღეა შენს ცხედარს გარს ახვევია?

არა, შენი ჭირისუფალი მთელი შენი სატრფო ქვეყანაა, სამშობლო – კახეთიდამ დაწყებული შავ-ზღვამდის. ამ ქვეყანაში ყველას უგემნია შენი ნაწერების სიტკბოება და ყველა სასოებით და სიამაყით იხსენიებს შენს სახელს; ოჯახი სად დარჩა ამ ქვეყანაში, საცა ბავშვს შენი „აყვავებულა მდელო“ არ ეკითხოს და მოზრდილს „მკრთალი ნათელი“ და „ჩემო კარგო ქვეყანავ“ არ ემღეროს?

* ლაპარაკია სალომე დავ. დადიანის ასულ მიურატზე – ს. ც.

** წერილი უთარიღოა.

შენის ქმნილებით დამტკბარმა, შენის მოკვლით გულჩამწარებულმა, საქართველოს შორეულმა ქალაქმა ფოთმა დაფნითა და ყვავილით შეამკო ცხედარი შენი და უკანასკნლი სალამი გიძღვნა შენ, დაუვიწყარო ილიავ. შენ, რომლის მარჯვენისა ქმნილებამ აღზარდა

რაამი საქართვლოს მოზარდთა თაობათა და მწერალთა, შენ, რომელმაცა „კაცია-ადამიანი“ სთქვი, „გლხის ნაამბობი“ გვიამბე, თავდადებული შეგვაყვარე და „ნაოჭის მსგავსად შეკრული“ შუბლი განდეგლისა დაგვიხატე ხელოვნურად.

შენ რომ ფეხი შემოდგი მწერლობაში, სთქვი, „მამული საყვარელო, შენ როსღა აყეავდებიო“ და მთელი შენი სიცოცხლე ამ მამულის აყვავებას ამსახურე და მამულის შვილების გულში აღაგზნე ყოველგვარი კეთილი აზრი და გრძნობა.

დღეს ყოველი ქართველი, თვით შენი მტერიც, შენი შეგირდია. ნეტავ გაგაგონა ის ძლიერი ღაღადი ჩვენის მწერლობისა, რომელიც შენმა მკვლელობამ ასტეხა, რომ დამტკბარიყავ იმ აზრით, რომ სამწერლო მემკვიდრეობა შენგან დატოვებული არც ისე მჩატეა, როგორც მტერსა ჰგონია.

შენ არ გვასწავლე ქართული ენა? შენ არ შეჰქმენ უკანასკნელად „სულთა სწრაფვა“, „თვალთახედვის ისარი“? შენ შეგვაყვარე მამული და გვაჩვენე, როგორ უნდა სამშობლოს მტერთან ბრძოლა. „დიდ მუხასთან პატარა ია რომ ყვაოდეს, ვის რა უნდაო“, გააგონე შენს მამულის მტრებს; სამეგრელოს ჩამოშორება რომ მოინდომეს საქართველოდამ, შენ სამეგრელოში მოდი, იქაურობა ნახე და სთქვი: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო" და მედგრად გამოესარჩლე დაჩაგრულ სამეგრელოს.

და აწ შენ დაგვმორდი, დაგვტოვე იმ დროს, როცა თვით მამულის წმიდათა-წმიდას შეეხო განუსჯელი თაობა და როცა შენს წინასწარმეტყველურ სიტყვას შეეძლო ეს თაობა გონს მოეყვანა.

ვინ იცის ეგებ შეიძლებოდეს კაცს კაცობრიობა უყვარდეს მამულზე უფრო, მაგრამ მამული რომ არ უყვარდეს კაცს, სამშობლოს ენა არა სწამდეს, ამის სმენაც კი ეჩოთირება ჩვენს ყურს, რომელშიაც შენ 40 წელიწადი სულ ჩაგვძახოდი: ჩიტს თავისი ბუდე უყვარს, ნადირს თავისი კლდე და სორო, მთელ განათლებულ ქვეყანას თავისი მხარე და ენა და მხოლოდ ჩვენში გამოჭტყვრა პირველად ეს დაუჯერებელი: „ენა რა არის, მამული რას მიქვიანო“.

51

ვიმედოვნებ, მოძღვარო, რომ ეს შეცდომა წარმავალია, რომ ჩვენნი ძმანნი და შვილნი, ვითარცა უძღებნი შვილნი, დაუბრუნდებიან სამშობლოს და მამული კვალად დარჩება ყველათათვის საუკუნოდ თაყვანსაცემად ისე, როგორც საუკუნო არის იდეალები სიმართლისა, სიკეთისა და მშვენიერებისა, რომელთაც შენ მსახურებდი.

მშვიდობით ჩვენო ენის კანონმდებელო, დიდო მამულისშვილო!

(1907 წ. 9 სექტ. ილიას დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა. იხ. კრებული – „ილიას სიკვდილი და დასაფლავება“ გვერდი 194 – 195).

———

ქუთაისი ილიას საღამო.

27 ოქტომბერს ჩვენი ქალაქის თეატრში გაიმართა სალიტერატურო და სამუსიკო ილიას საღამო. საღამო შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან: პირველ განყოფილებაში გვირგვინებით და ყვავილებით შემკულ ილიას სურათს გარშემო იდგენ ილიას თხზულებების გმირები და მათ შორის ბ. ბ. ს. თ. ხუნდაძე, ი. მეუნარგია, კოლა ერისთავი და ნ. დავითაშვილისა.

ფარდის ახდისთანავე ს. ხუნდაძემ მიმართა დიდებული პოეტის სურათს თავის საკუთარი ლექსით, რომელშიაც გატარებული იყო აზრი ილიას სიდიადის და უკვდავების შესახებ. თითქმის ამნა-

ირივე ლექსით მიესალმა კ. ერისთავი. შემდეგ სურათის წინ დაა-
წყვეს გვირგვინები და ფარდაც ჩამოეშვა. ამავე განყოფილებაში,
ფარდის მეორედ ახდის შემდეგ, მშვენიერად წაიკითხა ილიას „ნანა“
ქ. ნ. დავითაშვილისამ. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ამ
განყოფილებაში იყო მეუნარგიას „ნანახი და გაგონილის“ წაკითხვა
ილიას შესახებ.

თეის „ნანახში და გაგონილში“ იონა მეუნარგიამ გააცნო
დამსწრე საზოგადოებას ილიას ცხოვრებიდან სხვადასხვა ეპიზოდები,
რომლებშიაც ილია იხატებოდა როგორც ადამიანი და როგორც
მოქალაქე.

ბ. იონა შეეხო ილიას ახალგაზრდობას და დამსწრეთა გასა-
ოცებლად თავის სტყვა მან ასე დაამთავრა: „მან ლიბერალობა
ოქროს ჯაჭვზე გაცვალაო“, ე. ი. მწერლობას თავი დაანება და სა-

ხელმწიფო სამსახურს მიაშურაო. ეს თუმცა ყველამ კარგად იცოდა,
მაგრამ ილიას პატივსაცემლად გამართულ საღამოზე ბევრს უადგი-
ლოდ ეჩვენა ასეთი აზრის გამოთქმა და საზოგადოებაში ალაგ-ალაგ
უკმაყოფილება გაისმა.

კიდევ კარგი, ამით რომ დაკმაყოფილებულიყო ბ იონა. მაგ-
რამ ეს ასე არ მოხდა. მან ბატონმა იონამ თავიდან დაწყებული ბოლო-
მდე მოსდგა ილიას და სულ მიწასთან გაასწორა. მოიყვანა რამდენიმე
მაგალითი მისი ჯიუტობის დასამტკიცებლად, მოიგონა მისი ხელ-
მოჭერილობა საქველმოქმედო საქმიანობისათვის, მაშინ როდესაც ის
თითო ღამეში ხშირად ათას-ხუთას მანეთობით აგებდა ბანქოს თა-
მაშშიო. იონას უნდოდა საზოგადოებისათვის დაემტკიცებინა, რომ
ილია შესანიშნავი დიალექტიკი იყო და ამის დასასაბუთებლად მო-
აგონა დამსწრეთ ილიასა და ძმათა მაჩაბელთა შორის ამტყდარი
უთანხმოებანი თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის საქმეებში. აქ
მან პირდაპირ განაცხადა, რომ თუმცა ხშირად სიმართლე ივ. მაჩა-
ბლის მხარეზე იყოო, მაგრამ ილიამ თავის შეუბრალებელი დიალექ-
ტიკის შემწეობით მაჩაბელი გასჭყლიტაო. გვიკვირს რად დასჭირ-
და მეუნარგიას ასეთი მოგონებების წაკითხვა ილიას პატივსაცემ-
ლად გამართულ საღამოზე? როგორც ბ. იონას მოგონებებიდან სჩანს,
ილიას პირველ ხანაში ლიბერალობა ოქროს ჯაჭვში გაუცვლია,
შემდეგ კი 1875 წლიდან პოეტს ბანკირობა დაუწყია. ბ. იონამ ესეც
უსაყვედურა დიდებულ პოეტს და სთქვა: „პოეტი და საანგარიშო
ჩოთქი როგორ უნდა მოთავსებულიყვნენ ერთათო“!

ბ. იონას აზრით ილია არც პუბლიცისტი ყოფილა მაინც და
მაინც დიდებული. ამის დასამტკიცებლად ბ. იონამ დიდხანს ილა-
პარაკა ილიას მეთაურების შესახებ გაზეთებში და ის აზრი გამოს-
თქვა, რომ ილია მეტად გაჭიანურებულ მეთაურებს სტამბავდა გა-
ზეთში და ეს კი მოსაწონი არ არისო. თავის აზრი რომ უფრო და-
ემტკიცებია მას, საფრანგეათის პუბლიცისტ ჟორარდენსაც კი შე-
ადარა ილია და დაასკვნა, რომ აი როგორი უნდა იყოს პუბლიცის-
ტიო. ერთი სიტყვით, ბ. მეუნარგიამ თაეის „ნახულში და გაგო-
ნილში" ილიას თითქმის მარტო უარყოფითი მხარეებს მიაქცია ყუ-
რადღება და ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია დამს-
წრე საზოგადოებაში. რაც ბ. ი ო ნ ა მ თ ქ ვ ა. ს ხ ვ ა ვ ი ნ მ ე ს

რ ო მ ე თ ქ ვ ა, მ გ ო ნ ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ა ღ ა რ დ ა ა ყ ე-
ნ ე ბ დ ნ ე ნ. (ხაზი ჩვენია – ს. ც.) ბ. იონას კი – არაფერი. ამითი
დასრულდა პირველი განყოფილება.

მეორე განყოფილებაში ცოცხლად ჩაატარეს ბ. შალიკაშვილ-
მა, ქ. ქ. ჯავახიშვილისამ და ქავთარაძისამ სცენა „კაცია ადამია-
ნიდან“ – ლუარსაბსა და დარეჯანს შორის.

მესამე განყოფილებაში მშვენიერი სანახავი იყო აპოთეოზი. ილიას სურათის გარშემო ჩვენ ვხედავდით მისი თხზულებების უკვდავ ტიპებს. შუაში, სურათის ქვეშ თეთრად ჩაცმულ მუზას ხელში ლირა ეჭირა. ეს სურათი დასაწყისში კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ როდესაც ქანდაკებასავით გაქვავებულმა პირებმა დაიწყეს ილიას ლექსების დეკლამაცია, ეს კი რაღაც უხერხულად ეჩვენა საზოგადოებას. მართლაც და რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა სურათს. როდესაც გაქვავებული ადამიანები თვალების დაუხამხამებლად კითხულობდნენ გრძნობებით სავსე ლექსებს? მხოლოდ კოლა ერისთავმა დაარღვია სურათის უმოძრაობა და თავისებურად, მღელვარებით და აღტაცებით წაიკითხა ლექსი. რაც შეეხება ბ. შალიკაშვილს, რომელიც აჩრდილის სახით უნდა გამოცხადებოდა სცენახე მყოფთ და „აჩრდილიდან“ უნდა წაეკითხა რამდენიმე ადგილი, მან გადააჭარბა და აჩრდილი კი არა, უფრო გაბედული მეომარი გეგონებოდათ.

საღამოს საზოგადოება კარგა ბლომად დ ა ე ს წ რ ო , თ უ მ ც ა ი მ დ ე ნ ი ა რ ა , რ ა მ დ ე ნ ს ა ც მ ო ვ ე ლ ო დ ი თ (ხაზი ჩვენია – ს. ც.). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აქაური სასწავლებლების უფროსებმა ნება არ დართეს უფროს მოსწავლეებს საღამოზე დასწრებოდენ. მგონი ეს ისე ძნელი არ იქნებოდა, რომ მოენდომებიათ სასწავლებლების უფროსებს, რომელთა შორისაც უმეტესობა ქართველები არიან.

შემთხვევით დამსწრე.

გაზ. „ალი“ № 3. 5 ნოემბერი, 1908 წ.

———

54

ილიას მეორედ მოკვლის განზრახვა.

ილიას მეორედ მოკვლა მოიწადინეს. მოკვლა არა ფიზიკური, რომლის გამეორება შეუძლებლად გახადეს უსულგულო ნაძირალებმა, არამედ მოკვლა სულიერი. ეს უკანასკნელი მკვლელობა, რასაკვირველია, უფრო მძიმეა, ვიდრე პირველი. ფიზიკურმა მკვლელობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სულიერს უკედავებას, სულიერი მკვლელობა კი მეტ ნაკლებობით ამართლებს ფიზიკურ მკვლელობასა. ფიზიკურმა მკვლელობამ პოეტისამ შეიძლება მისი ქმნილებანი და მათი სარგებლობა უფრო კარგად შეაგნებინოს საზოგადოებას, ამ ქმნილებათა შეგინება კი გულს უცრუებს მათზე საზოგადოებას და დიდს ვნებას აყენებს მას.

ვინ მოიწადინა ეს მეორე მკვლელობა ილიასი? ბატონმა იონა მეუნარგიამ. სად მოიწადინა, სალიტერატურო საღამოზე, რომელიც გამართული იყო ილიას დაბადების დღეს ქუთაისში მის სახსოვრად, სადიდებლად. რა სთქვა? თქვენ ადიდებთ და აღმერთებთ ილიას; მაგრამ მე, რომელიც ახლო ვიდექი განსვენებულთან, სხვა აზრისა ვარო და მოგონების სახით მან თურმე დაუგროვა დამსწრე საზოგადოებას ვეებერთელა ზვინი ჭორებისა, საიდანაც გამოდიოდა, რომ ილია ყოფილა: ძუნწი, გულქვავი, ზარმაცი, ბანქოში მფლანგავი თავისი ქონებისა, სოფისტი, ეგოისტი გამჭყლეტელი მართალი ადამიანისა და თითქმის უნიჭო პუბლიცისტი. „ილია მიწასთან გასწორაო“, გულისწყრომით სწერს კორესპონდენტი თ ვ ი თ გ ა ზ ე თ ი „ა ლ ი ს ა“ (ხაზი ჩვენია – ს. ც.)

დავეკითხოთ გარემოებათა, ამსუბუქებენ მეუნარგიას „სულმაღლობას“, თუ უფრო ამძიმებენ?

ჯერ მას არ გაუცვეთნია ის წაღები, რომლითაც იგი ილიას დასაფლავებას დაესწრო, როდესაც იგი თავის სიტყვაში წყევლა-

კრულვას უგზავნიდა ჩვენი დიდების მხეც მკვლელებს, და დღეს კი
მას თითქმის ტალახში სვრის.